# საერთო გაზეთი

№7 (418) • 1 მარტი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## დავით მაღრაძე:
## „ის მიდის ჯვარზე თეთრი პერანგით“



„ქრისტე იერუსალიმში ჯორით შევიდა. იერუსალიმი იმ პერიოდში რომის იმპერიის შემადგენელია. იმ დროს რომს აქვს ეტლები, დღევანდელი „ლექსუსი“, „პრადო“. იესო კი ჯორით შევიდა. ესეც ნიშანია თუ რას ასწავლის იესო მის ყველაზე ერთგულ მიმდევრებს“.

## პანდორას ყუთი გაიხსნა!



## დონალდ ტრამპმა სომხური ლობის გავლენას წერტილი დაუსვა





**გაიოზ მამალაძე:**
თუ პროვოკაციაა ის, რაც დეკანოზ გიორგი მამალაძესთან დაკავშირებით ხდება, ამ პროვოკაციით ყველაზე დიდი ზიანი საპატრიარქოს და ბიძინა ივანიშვილის სახელს მიადგა



**დენიზა სუმბაძე:** კონსპირაციული ომი საქართველოს და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ გრძელდება

## „ციანიდის საქმე“, ანუ ვინ დაიჭერს მაღალ, ქერა მამაკაცს შავ ფეხსაცმელში?!
### რას ოხრავს ოხანაშვილი?

## „ეკლესიაა თუ ბიზნესკლუბი, სადაც ანაფორაში გადაცმული მაფიოზები დათარეშობენ“?!



## შავი მზე, შავი ვარსკვლავები და შავი არისტოკრატია

# „ის მიდის ჯვარზე თეთრი პერანგით“



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოეტი დავით მაღრაძე:*

**— დათო, ინტერნეტ-სივრცეში თქვენმა ლექსმა — „თეთრი პერანგი“ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. იგი წლების წინ შექმენით, თუმცა, ზუსტად ეხმიანება დღევანდელ რთულ რეალობას, რაშიც ერი და ბერი ვიმყოფებით. როგორ შეაფასებთ მიმდინარე პროცესებს?**

— შესაძლოა არსებობდეს პოეტის ინტუიცია, ან უფაქიზესი ნიუანსი, რითაც იგი სამყაროს უფრო ვრცლად ხედავს. დღეს, რა ხდება? — ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით — გაცხადდა დაფარული დიდი სატკივარი, რასაც საზოგადოების მცირე ნაწილი ხედავდა და პასუხისმგებლობის გრძნობიდან გამომდინარე ამაზე საუბრობდა კიდეც. რა თქმა უნდა, კეთილი განზრახვით, იმის სურვილით, რომ ამ უდიდეს სატკივარს შველებოდა. თუმცა, ჩვენს საზოგადოებაში არის ხალხის ისეთი ნაწილიც რომელსაც ეკლესიაში შექმნილი მძიმე ვითარება ახარებს, მეტიც, ეს მათთვის დღესასწაულია, ვინაიდან ქრისტიანობის და ზოგადად, სარწმუნოების მოწინააღმდეგენი არიან. ადამიანების მეორე ნაწილი ამ სატკივარს, პრობლემატიკას განიცდის, ოღონდ, მოკრძალებას ინარჩუნებს და ფიქრობს ისეთი ფორმა გამოძებნოს, რაც ადამიანის ეკლესიისადმი ემოციას კი არ დააზიანებს, არამედ რაღაცაში წაადგება კიდეც. მთავარია, განზრახვაში კეთილი მარცვალი იყოს ჩადებული. მხოლოდ ასე თუ ეშველება ამ სატკივარს. დღეს, უფრო ფართო საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი იმ სატკივარის შესახებ, რაც დღევანდელ ქართულ ეკლესიაში არსებობს. როგორ ლამაზადაც არ უნდა შევფუთოთ, სამწუხაროდ, პრობლემა არსებობს, თანაც სერიოზული. სჯობს, რეალობას თვალი გავუსწოროთ და პრობლემის შველაზე ვიზრუნოთ, კერძოდ, თუ როგორ გავაკეთილშობილოთ მოცემული არაკეთილშობილური გარემო. აქვე, ერთ ფაქტს გავიხსენებ: პარლამენტის წევრი გახლდით, როდესაც ამ ორგანომ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის საკონსტიტუციო შეთანხმება ანუ, კონკორდატი მიიღო. გარკვეული ჯგუფი ამ საკონსტიტუციო შეთანხმებას არ ვიზიარებდით. გვქონდა იდეა, ამას სვეტიცხოვლის შეთანხმება დარქმეოდა. მიზეზი შემდეგი იყო: როცა კონკორდატს საკონსტიტუციო შეთანხმება დაერქვა, მან იგივე ძალა შეიძინა, რაც კონსტიტუციას აქვს. როცა ჩვენი კანონმდებლობა საერთაშორისო ნორმებთან შეუსაბამობაში მოდის, ამ უკანასკნელს პრიორიტეტი ენიჭებათ, გარდა კონსტიტუციისა და საკონსტიტუციო შეთანხმების. ამიტომაც, გვინდოდა აღნიშნულს სვეტიცხოვლის შეთანხმება დარქმეოდა, რათა შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტი საერთაშორისო სამართალს მინიჭებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. პარლამენტის ის წევრი გახლდით, რომელმაც კონკორდატს ხმა არ მივეცი. შემოთავაზებული კანონპროექტის მომხრე არ ვიყავი, მაგრამ უმრავლესობა მას მხარს უჭერდა და ვერაფერს გავხდი.

**— დათო, რა იყო მიზეზი, რატომ არ დაუჭირეთ მხარი კონკორდატს?**

— ჩემი მოსაზრებების გამო. კერძოდ, არ მგონია, რომ ეკლესიას მატერიალური დოვლათი აძლიერებს. მიმაჩნია, რომ ეკლესიას სულიერების გაღრმავება აძლიერებს და არა მატერიალური დოვლათი. პირდაპირ ვამბობ, ვეცდები გულწრფელი ვიყო: არ მგონია, რომ ეკლესიის, უფრო სწორად, საპატრიარქოსა და სინოდის წიაღში წარმოშობილი დავა, პოლემიკა ან მსოფლმხედველობრივი იყოს, ან თეოლოგიური, ანაც მჭვრეტელობითი. ჩემი აზრით, ეს, ქონებრივ გადანაწილებაზე დავა არის. ამიტომ, არ ვიყავი ეკლესიისთვის მატერიალური დოვლათის გაძლიერების მომხრე. სწორედ არ მიმაჩნია, რომ ამით ეკლესია ძლიერდება. ვიმეორებ, ეკლესიის ძლიერება სულიერების გაღრმავებით. ყოველი ქრისტიანის მცდელობა უნდა იყოს სულიერად ერთი საფეხურით მაღლა ავიდეს. ადამიანმა ეს თუ შეძლო და ერთი საფეხურით მაღლა ავიდა, მაშინ საკუთარი თავი მით უფრო ეცოდვილება და საკუთარი ცოდვა-ბრალის მიმართ თვალი გამჭრიახი უხდება. ეს პრობლემა გვაწუხებს, რადგან **ეკლესია ჩვენი ნაციონალური იდენტობის განუყოფელი ნაწილია და ბუნებრივია, დაინტერესებული ვართ მისი გადარჩენით და არა მხოლოდ მატერიალური, არამედ სულიერი გაძლიერებით**. რაც შეეხება ხელისუფლების განცხადებებს, ვფიქრობ, ეს მმართველი პოლიტიკური გუნდის მხრიდან ფარისევლობა, მაამებლობა და ეკლესიასთან ფლირტია. ამიტომ, ჩემმა დამოკიდებულებამ ასეთი თვალსაწიერი გამიჩინა. აქვე, ვიტყვი: პირადად, წმინდა წერილთან გაუცხოება არ მაქვს. არ მახსენდება არცერთი ეპიზოდი, სადაც უფალი მოციქულებს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ასწავლის. თუ გამახსენებენ, მადლობელი ვიქნები და ბოდიშს მოვიხდი. მაგრამ ვერსად ამოვიკითხე, რომ 12 მოციქულს რომლებმაც შემდგომ „ახალ აღთქმას“ და საერთოდ, ქრისტიანობას დაუდეს სათავე, სადმე ექადაგოთ, რომ ეკლესია მატერიალურად მდიდარი უნდა იყოს. ასეთი რამ არ მახსენდება. იესო მოციქულებს ეუბნებოდა: წადით და იქადაგეთ, ნეტარ იქნებით თქვენ, თუ სიმართლისთვის დევნილნი იქნებით. **წმინდა წერილში არსად ამომიკითხავს უფალს მოციქულებისთვის ეთქვას: წადით და გამდიდრდითო**. ერთსაც ვიტყვი, რაც ლექსშიც გამოვხატე: იესომ ტანზე ერთი პერანგი შემოიხვია და ჯვარზე ავიდა. ეს არის გზა, რომელიც უფალმა გვაჩვენა. ეს არ არის ამქვეყნიური სიამტკბილობის, განცხრომის გზა. ეს არის რთული ნარეკლით მოფენილი გზა. თუ ამ გზას ირჩევ, უნდა ეცადო გზისგამკვლევს ცოტათი მაინც დაემსგავსო. მცდელობა მსგავსებაში უნდა იყოს და არა მასთან განსხვავებაში. ამიტომ, შეუსაბამობაში მოდის, როდესაც ამბობ, ამ გზას მივსდევო და სინამდვილეში ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ სულ სხვა გზაზე დგახარ. მიმაჩნია, რომ ღმერთმა ადამიანი ადამიანად შექმნა, ოღონდ, არჩევანი დაუტოვა — გზა ადამიანობისკენ, რომელიც თავად უნდა აირჩიოს. ამაში არის ჩვენი თავისუფალი არჩევანი. მოხარული ვიქნები თუ ავირჩევთ გზას ადამიანობისკენ, ღირსებისკენ, კაცთმოყვარეობისკენ, სიყვარულისკენ. ეს გზა არსებობს. რა თქმა უნდა, არსებობს გზა, რომელიც ერთი მხრივ, ორატორული ხელოვნებით გამაგრებული და აფიშირებულია, მაგრამ რეალობა არ ასახავს ფრაზეოლოგიას. ანუ, ფრაზეოლოგიასა და ცხოვრების წესს შორის ცდომილებაა. ცდომილება სულ იქნება, ოღონდ, ერთია, როცა ამ ცდომილების დასაძლევად ისწრაფვი და მეორეა, მხოლოდ მატერიალური დოვლათისკენ რომ გაგირბის თვალი. სამწუხარო რეალობის წინაშე აღმოვჩნდით. ჩემი დამოკიდებულება არც ადრე დამიმალავს და ახლაც ვიტყვი: საპატრიარქოსგან სხვა პოზიციას, სხვა დამოკიდებულების გამოხატულებას ველოდი, ეს შეიძლება ჩემი პრობლემაა, მაგრამ ჩემი ამოსავალი ყოველთვის წმინდა წერილი არის.

აშკარაა, რომ კრიზისი არსებობს, ეს დაფარული აღარ არის, მაგრამ რაც გაცხადდა გონიერმა ხალხმა შეიძლება არსებული ვითარება გააკეთილშობილოს. კრიზისი შეიძლება კათარზისის დასაწყისი იყოს. აშკარაა, ეკლესიის ადმინისტრირების მართვის განახლების აუცილებლობა დადგა. თქვენც ხედავთ, უმაღლესი იერარქიის სასულიერო პირები რა ბრალდებებით გამოდიან ერთმანეთის წინააღმდეგ და საერთოდ, რაზე მსჯელობენ, რაში სდებენ ერთმანეთს ბრალს. კრიზისი სახეზეა. ეს არ არის ეკლესიის წიაღში არანაირი მჭვრეტელობითი წინააღმდეგობა. ეს არის ჩვეულებრივი გარჩევები და ერთმანეთისთვის სააშკარაოდ ბრალის დადება. მათ ეტყობა ჩათვალეს, რომ საზოგადოება არ დგას იმ სულიერ სიმაღლეზე, რომ რაც ხდება არ მოეწონოს. მათ ჰგონიათ, ამ ბრალდებებში საზოგადოება მათ მხარეს აღმოჩნდება. მე, არცერთის მხარეს აღმოჩენა არ მსურს. მინდა, პოლემიკის არცერთ მხარეს არ აღმოვჩნდე იმიტომ, რომ ვფიქრობ, ქრისტიანის ადგილი არცერთ მხარეს არ არის. ჩემი აზრით, ეს პოლემიკა კრიზისის გათვალსაჩინოების რეალური სურათი არის და ქრისტიანმა, თვითონ ეკლესიის წიაღში, სულიერი მდგომარეობის გაკეთილშობილება უნდა დაიწყოს.

**— დათო, კრიზისი დღეს არ დაწყებულა. თუმცა, გაუგებარია ხელისუფლების ქმედებებიც. ჯერ მამა გიორგი მამალაძე პატრიარქის მკვლელობის მცდელობაში დაადანაშაულეს, მერე, უარყვეს; ბრალი ორი კვირის წინ წაუყენეს და ახლახან, ჩაუტარეს ექსპერტიზა. რა ხდება, ვინ მართავს ამ პროცესებს?**

— საერთოდ, მთავრობა პათეტიკურ განცხადებებს თავს თუ დაანებებს, კარგი იქნება. ვფიქრობ, პათეტიკა მთავრობის განცხადებების შესატყვისი არ არის. სიმართლე გითხრათ, პათეტიკა პოეზიაშიც არ მომწონს და მით



## დავით მაღრაძე

### თეთრი პერანგი

**ის მიდის ჯვარზე ერთი პერანგით**
**— ჯვარს აცვი! —**
**ისმის ანჩხლი კიკინი**
**და მოსროლილი ვით ბუმერანგი**
**ბრუნდება ჩვენში ეკლის გვირგვინით.**
**ირევა ხალხი როგორც ამინდი,**
**ცოტა მართალი, ბევრი ვერაგი,**
**მზე ჩადის, როგორც ძოწის ქლამინდი,**
**ის მიდის ჯვარზე ერთი პერანგით.**
**... ტყვიაგაუმტარ ფანჯრების სისქეს**
**უსაფრთხოება მიაქვს კეისის,**
**ჩვენ ხან ლექსუსით მივდივართ ჯვრისკენ,**
**ხან საკუთარი აირვეისით.**
**და საფინანსო გაწეულ რისკებს**
**თან გაკოტრების ახლავს შიშები,**
**მივალთ... მივდივართ... მივიმღერთ ჯვრისკენ,**
**ჩვენი საბანკო ანგარიშებით.**
**იერუსალიმს აღდგომა მოდის,**
**დელეგაციის საუბარს ვისმენ,**
**— ბარგის წონაზე მოგიხდით ბოდიშს —**
**და ოქროს ჯვრებით მივდივართ ჯვრისკენ.**

**ის მიდის ჯვარზე თეთრი პერანგით.**

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

უმეტეს, მთავრობის განცხადებებში. მთავრობის პათეტიკური განცხადებები უნიჭო ლექსის ასოციაციას უფრო იწვევს, ვიდრე დაბალანსებული, ბრძნული განცხადებისას. მათი გამონათქვამები ზედმეტად პათეტიკურია. მაგრამ ჩემი აზრით, ყველაფერი რაც ხდება გონიერმა საზოგადოებამ შეიძლება უკეთესობის საწინდარი გახადოს. ვფიქრობ, ახლა, სასულიერო, საერო სამყარო ერთი სურვილით უნდა განიმსჭვალოს — ერშიც და ბერშიც საქმე როგორმე უკეთესობისაკენ დაძრას. ყველამ ვიცით როგორი იყო საბჭოთა ცნობიერება, ეს ინერციით აქა-იქ კიდევ არსებობს — მთავარია, ხალხს ეგონოს, თითქოს საქმე კეთდება და არა ისე, რომ საქმე მართლა კეთდება. დღევანდელ სიტუაციაზე თუ გადმოვიტანთ, ბევრი შემდეგის მომხრეა — მთავარია მოსახლეობას ეგონოს, თითქოს, აქ, ძალიან მაღალი სულიერებაა და არა ისე, რომ მართლა მაღალი სულიერება იყოს. პანდორას ყუთი გაიხსნა — როგორი ლამაზი ლენტებითაც არ უნდა შევკრათ და ბანტი გავუკეთოთ, სურათი თვალნათლივ ცხადია: ზოგი, ამ ყველაფრით შეწუხებულია და უკეთესობა სურს, ზოგი, რა თქმა უნდა, ხარობს იმით, რომ ეს ქართული სახელმწიფოს მომავლის საზიანოდ შეიძლება გამოიყენოს. ამდენად, ყველას ძალიან დიდი გონიერება გვმართებს, ამას ველარავინ მიჩქმალავს. ყოველშემთხვევაში, ვეცდები, ეს არ მიიჩქმალოს იმიტომ, რომ ქრისტიანობა აღსარებიდან იწყება. თუ ადამიანმა არ განაცხადა, არ თქვა ის ჭირი, რაც მის სულში ჩაბუდებულია



და ამის შელამაზებას ეცადა, მაშინ ეს აღსარება აღარ იქნება. ახლა, საჯარო აღსარების ასპარეზია. ყველა ჩვენგანს ვგულისხმობ და არა მხოლოდ სასულიერო პირებს. ვიცი, რომ იდეალური სურათი არასდროს დაიხატება და პრობლემები სულ იქნება, მაგრამ ნორმალური საზოგადოება უკეთესობისკენ უნდა ისწრაფვოდეს. ამის მიჩქმალვით, შელამაზებით უკეთესობა არ დადგება. ახლა არის მოცემულობა, რომელიც აღსარების აუცილებლობას მაგონებს.

**— დათო, როგორც საუბრისას აღნიშნეთ, დღეს ყველა იყენებს ტერმინს — მართლმადიდებელი და ქრისტიანს აღარავინ ახსენებს.**

— დიახ, ჩვენი ფრაზეოლოგიიდან ქრისტიანი დაიკარგა. ვიმეორებ, ჩემი ღრმა რწმენით, ეს სიტყვა ჩვენს ფრაზეოლოგიაში დასაბრუნებელია. ქრისტიანი დავკარგეთ. იყო ასეთი გამოთქმა: რა მოგივიდა, ქრისტიანი არა ხარ, კაცო. ამ სიტყვას დღეს მართლმადიდებელი ჩაენაცვლა იმიტომ, რომ ხაზი გავუსვათ ჩვენს ერთადერთობას და სხვათა ცოდვას, დაღუპვას. ხშირად მომისმენია ქადაგებები თუ როგორ უნდა გაბრწყინდეს ივერია. ოღონდ, ამ გაბრწყინებაში რასაც გულისხმობენ, ეს, ხშირ შემთხვევაში, სავალალოა. კერძოდ, გარშემო როგორ იწვის, იბუგება და წყალს მიაქვს ყოველივე, ქართველებს არაფერი ემატებათ გარდა იმისა, რომ სხვათა დაღუპვას ხედავენ და თურმე ეს ყოფილა გაბრწყინება — უყურო როგორ იღუპება ყველა დანარჩენი ნაციონალობა. ეს ნაციონალისტური უკიდურესობაა, რომელსაც ქრისტიანობასთან არავითარი საერთო არ აქვს. იმიტომ, რომ ქრისტიანობა ზე-ნაციონალური რელიგიაა ისე, როგორც ხელოვნება არის ზენაციონალური მოვლენა. მხოლოდ იუდეველებს კი არ მიეცათ ქრისტეს აღიარების საშუალება, არამედ ჯვარცმა მოხდა, რათა ამის საშუალება ყველას მისცემოდა. უფალი ჯვარზე ერთი პერანგით ავიდა, რათა მასთან მიახლოების ასპარეზი და საშუალება ყველა ჩვენგანს მისცემოდა. ამიტომ, გამუდმებით სხვათა მწვალებლობაზე საუბარს იქნებ სიყვარულზე გვესაუბრა. სხვისი ცოდვა-ბრალი ჩვენ არაფერს გვმატებს, დღენიადაგ სხვათა შეცდომებზე საუბარს, სჯობს შენს სიმართლეზე ისაუბრო. პირველყოვლისა, საკუთარ თავს შევახსენებ, თუმცა, სხვასაც არ აწყენდა ამის გაგონება: არ ვამბობ თითქოს, ეკლესიას რაიმე სახით მატერიალური საყრდენი არ გააჩნდეს, მაგრამ მინდა ყველას შევახსენო — **ქრისტე იერუსალიმში ჯორით შევიდა. იერუსალიმი იმ პერიოდში რომის იმპერიის შემადგენელია. იმ დროს რომს აქვს ეტლები, დღევანდელი ლექსუსი, პრადო. იესო კი ჯორით შევიდა. ესეც ნიშანია თუ რას ასწავლის იესო მის ყველაზე ერთგულ მიმდევრებს.** ერთიც მინდა ხაზგასმით ვთქვა — იერუსალიმში შესვლას ჯვარცმა მოჰყვა. ამ შემთხვევაში, რომი, ჩემთვის, ცივილიზაციაა და ქრისტე — კულტურა. ცივილიზაციას კულტურა ჯვარცმისკენ მიჰყავს. რა თქმა უნდა, იგებს ცივილიზაცია, მაგრამ იმარჯვებს კულტურა. აღდგომა ჯვარცმის მერე დგება. ვინატრებდი, რომ დღევანდელი პროცესი აქეთკენ წავიდეს.



**— დათო, ამ მძიმე თემის შემდეგ განათლებაზეც ვისაუბროთ. ლომაიადან მოყოლებული მუდმივ რეფორმებში ვართ, თუმცა ამ სფეროს წინსვლის არაფერი ეტყობა, ქვეყნის განათლების ბედი რიგითი ბუღალტრების ხელიდან ვერ დავიხსენით. რა ძვრებია ამ მიმართულებით?**

— რა გითხრათ. რაც დამოუკიდებელი საქართველო მახსოვს, გაიძახიან განათლებაში რეფორმა უნდა ჩატარდესო. რას გულისხმობენ, კარგად არ ვიცი. ჩემი დამოკიდებულება ასეთია — როცა არსებობს პედაგოგი სოლომონ დოდაშვილი და მოწაფეები დიმიტრი ყიფიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ეს სწავლა-განათლება ვარგა, ეს არის ძალიან სწორი სწავლა-განათლება. არსებობს მარადიული სამკუთხედი — პედაგოგი, მოსწავლე, სახელმძღვანელო. ეს რეფორმას არ ექვემდებარება. რატომღაც ცდილობენ რაღაც ისეთი მოიგონონ, რაც კაცობრიობას შეუმჩნეველი დარჩა, ყველა თაობას ვისაც დღემდე ცივილიზაციის სამყაროში უცხოვრია, გამორჩა და მხოლოდ ერთმა მიაგნო იმ მიუგნებელს, რაც აქამდე გამორჩა პლატონს, სოკრატეს, არისტოტელეს, საქართველოში გელათის აკადემიას, ივანე ჯავახიშვილს, ილიას, ვაჟას და თურმე, აი, ახლა, იწყება ის მთავარი მიგნება, რომელიც კაცობრიობის ისტორიას თავდაყირა დააყენებს. ასე, არ ხდება. ეს რაღაც მოარული სიტყვა — რეფორმა სამინისტროდან სამინისტროში დაფრინავს და მეტი არაფერი. ხომ შეიძლება კონკრეტულად იმ სახელმძღვანელოებზე იფიქრონ, რაც სწავლა-განათლებას მოწადინებულ ადამიანს სულიერ სარგებლობას მოუტანს.

**— რა ვითარება გვაქვს განათლების მონათესავე — კულტურის სფეროში, რომელიც წესით, ქვეყნის იდეოლოგიური ხერხემალია, რაც დღეს, ერს გამოცლილი აქვს.**

— საქართველო ძველი კულტურის ქვეყანაა. კულტურის სამინისტრო არ ასახავს ქართულ კულტურას და არც უნდა ასახავდეს. ეს არის სახელისუფლებო უწყება, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობაზე უნდა ზრუნავდეს. მართებულად არ მიმაჩნია, რომ გაჭირვებული ქვეყნის პრიორიტეტი რომელიღაცა ცნობილი ესტრადის მომღერლის ჰონორარზე ათეულობით მილიონის დახარჯვაა. მერე ამის გამართლება, გათეთრება იწყება, თითქოს, ეს სჭირდება ქვეყანას, ხვალინდელ დღეს, თურმე, ისე ზღვაზე არავინ ჩამოვა, თუ იქ რობი უილიამსი ან აეროსმიტი არ დაახვედრე, და ა.შ. თურმე, ისე შავი ზღვის სანაპირო არავის აღარ მოუნდება. ამ თემაზე ათეულობით მილიონი იხარჯება. შოუ-ბიზნესიც ჩვეულებრივი ბიზნესია და სწორედ ბიზნესი უნდა კვებავდეს ბიუჯეტს და არა პირიქით — ბიუჯეტი ბიზნესს.

„ჩექ-ინ“ ჯორჯია“ — ასე ჰქვია ამ პროექტს, რაშიც ამდენი მილიონები იხარჯება. გონივრული ეჭვი მაქვს „ჩექ-ინ“ ჯორჯიას“ პროექტი, ვიღაცის „ჩექ-აუთ“-ით დამთავრდება, წინააღმდეგ შემთხვევაში სულ „ჩექ-ინ“-ში ვიქნებით. მესმის, რომ აეროსმიტი დიდებულია, მაგრამ შოთა რუსთაველის 850 წლისთავი რომ არ გახსოვს და აეროსმიტი გახსოვს, ერთი ლარი რომ არ გახსენდება რუსთაველის იუბილესთვის და მილიონები გახსენდება „ჩექ-ინ“ აეროსმიტისთვის, ეს არანორმალური მგონია. ეს არ უნდა ხდებოდეს „ვეფხისტყაოსნის“ დავიწყების და ბიუჯეტის განიავების ხარჯზე.

**— როგორ შეაფასებთ, სატელევიზიო სივრცეში მიმდინარე მოვლენებს?.**

— გამონაკლისი შემთხვევა „რუსთავი-2“ მგონია. ასეთი ვითარებაც იყო, როდესაც „რუსთავი-2“ ტელევიზია იყო და როცა შევარდნაძის პერიოდში საფრთხე დაემუქრა, მეც ვიცავდი თავისუფალ სიტყვას და კონკრეტულად, „რუსთავი-2“-ს. დროთა განმავლობაში ვითარება შეიცვალა. დღეს, ჩემი აზრით, „რუსთავი-2“ ტელევიზია არ არის. ლავრენტი ბერიამ და ძერჟინსკიმ ტელე-კამერები რომ მოიმარჯვონ, განა ტელევიზიის დირექტორები იქნებიან?! ან, გებელსმა და გერინგმა უფლებადაცვითი ენ-ჯეოები რომ დააარსონ, ეს დემოკრატია იქნება?“ ანდა, ჩიკოტილომ გენდერული თანასწორობის არასამთავრობო ორგანიზაციას რომ შეაფაროს თავი, ეს ტელევიზია იქნება?!

**— რას იტყვით დონალდ ტრამპის მიერ აღებული ახალი პოლიტიკური კურსის შესახებ?**

— ტრამპმა შესანიშნავი ტენდენცია წამოიწყო — იგი მედიის შანტაჟის ტყვეობაში არ მოექცა, ეს გვერდზე გაწია, პირდაპირ ხალხთან მივიდა და არჩევნებში გაიმარჯვა. ტრამპი ფარისევლურ, ჩაბეტონებულ სისტემას დაუპირისპირდა. ამ დიქტატურის მთავარი საყრდენი და აზროვნებაზე ძალადობის მანქანა არის მედია. სხვათა შორის, ეს ძალიან ჰგავს 2012 წლის საქართველოს. რაც მაშინ ივანიშვილმა წამოიწყო, ეს ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ზოგადად, პრეცედენტისთვის. პოლიტიკაში მოვიდა კაცი, რომელიც არ დაექვემდებარა პოლიტკონიუნქტურის დიქტატურას და მედიის ბატონობის მონობაში არ დარჩა. მან აჩვენა, რომ შეიძლება ამ მონსტრის კონიუნქტურას, მედიის შანტაჟს არ დაექვემდებარო და პრეცედენტი შექმნა. ჩვენი ქვეყანა პოლიტიკური გავლენით და სამხედრო არსენალით არ არის ძლევამოსილი, მაგრამ პრეცედენტს მაინც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ივანიშვილმა მედიის მიმართ, პოლიტიკოსების მხრიდან ტრადიციად ქცეული მლიქვნელობა, დაარღვია. ამას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. ძალიან მსგავსი პროცესი განვითარდა. მნიშვნელოვანია, რომ პარალელური პროცესი წარიმართა, რაც შემდეგ აშშ-ში — დემოკრატიის ფლაგმან ქვეყანაში 2017 წლის არჩევნებში ტრამპის ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა. ხელისუფლებისა და მედიას შორის ურთიერთობის მხრივ ახლანდელი აშშ-ს რეალობა ძალიან ჰგავს 2012 წლის საქართველოს. ეს სხვა ქვეყნებშიც დაიწყება. რით განსხვავდება ჭკვიანი კაცი უჭკუოსგან?

— იგი, კლასიკა რაც არის, იმის რევიზიას არ იწყებს. არ ეჭვდება იმაში, რაც კაცობრიობის ისტორიაში აპრობირებულია. ყველა ის მოახლოებული გარყვნილება კრავის ქურქით, სიბილწის დიდი ნიაღვარით მოდის, რისი პირველი ნიშანიც ათი მცნების რევიზიაა. სამყაროში ჩვენი ეპოქის საერთო სურათი ასეთია: უკულტურობა კულტურას ებრძვის. მაგალითისთვის, **ათი მცნებაში იესო ამბობს: „პატივი ეც დედასა და მამასა შენსა“. მშობლების პატივისცემა კულტურაა, მშობლების უპატივცემულობის უფლების ძიება — უკულტურობა.** კიდევ მაგალითი: მამათმავლების საქმეში არ ჩარევა არის თანაცხოვრების კულტურა, მაგრამ აწზორის და ჯუმბერის მაინცდამაინც სიონში თუ უნდათ ერთმანეთზე ჯვრისწერა, უკულტურობაა. **ახლა გვეუბნებიან: უფლება გაქვთ არ სცეთ პატივი დედას და მამას. ამ ერთი შეხედვით უწყინარი რეკომენდაციებით იწყება სიბილწის დიდი ნიაღვარი, რომლის მიზანიც, როგორც ვთქვი, ათი მცნების რევიზიაა.** სიბრძნე ისაა, როცა კლასიკის რევიზია არ ხდება. როგორი ძვირიც არ უნდა ღირდეს და წალეკოს აუქციონი ენდი უორჰოლმა, კარავაჯოს ვერასდროს გადაწონის. ამის რევიზია არ ხდება. შეიძლება აუქციონმა ხელოვნურად შექმნილი დროებითი ავტორიტეტით გადაწონოს მარადიული ღირებულება, მაგრამ ეს როცა იქნება აუცილებლად გასწორდება. მოდა იმისია, რომ პოდიუმის ბილიკზე ჩაივლის, მარადიულობა ამ პოდიუმის ბილიკებში საერთოდ არ მონაწილეობს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „ციანიდის საქმე“, ანუ ვინ დაიჭერს მაღალ, ქერა მამაკაცს შავ ფეხსაცმელში?!

საქართველოს უწმინდესის და უნეტარესის კათოლიკოს-პატრიარქის დაცვის ყოფილმა უფროსმა სოსო ოხანაშვილმა ინტერვიუ მისცა „რუსთავი-2“-ს... დაპირებული იყო და ვერ გადათქვაო - გააჟღერეს... სიტყვის კაცი ყოფილა, მომწონს მე სიტყვის ადამიანები...

გაიხსენა ოხანაშვილმა 2012 წელს აგვისტოს ომში დაღუპულთა ჩამოსაყვანად ჩაბრძანებულმა კათოლიკოს-პატრიარქმა როგორ და რა უთხრა დაღუპულთა გვამების დანახვისას: - ჩემი ანაფორა დაუფინეთ, არ შესცივდესო... - თავი ჩახარა ამას რომ იხსენებდა, სახეზე აიფარა ხელები, ალბათ, ცრემლი მოგვარიდა... არადა, ცრემლი არ აკნინებს ვაჟკაცს... ფიცის გატეხა აკნინებს, რწმენის დავიწყებაც აკნინებს, ოჯახის მიტოვება აკნინებს გასაჭირში - ცრემლი არა...

გვითხრა ოხანაშვილმა და რა გვითხრა ვერ გავიგე - ვხედავდი საპატრიარქოში და სასულიერო პირებში ბევრ ცუდ ფაქტსო და



რას ხედავდა, არ გაგვიმხილა, მესმოდა ბევრი ცუდი და გაუგონარიო - მაგრამ არც ის მოგვითხრო, რა ესმოდა, მიგვანიშნა ადამიანებზე ირიბად - მაგრამ პირდაპირ და კონკრეტულად არ გვითხრა... ამას ერქვა - დაგვზაფრა და დაგვტოვა... ის მაინც ვიცოდეთ, ტყუილად დაგვზაფრა - თუ, მართლა ფაქტები აქვს სადმე გადანახული... არადა, მეორეს მხრივ, ახლა სასწორზე მისი მეგობრის და მეგობრის ოჯახის სიცოცხლე დევს, ახლა სასწორზე ამდენი ადამიანის და თავად მისი რეპუტაცია დევს - ახლა თუ არ, როდის უნდა გვითხრას? რას ელოდება? ვის ელოდება?

თუ ამდენ ავაზაკ და ვერაგ ადამიანს ხედავდა საპატრიარქოში, თუ ამდენი გაუგონარი რამ ესმოდა - ახლა ვის დაუტოვა ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი? ახლა ვის ანდო ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი? აკი, არ გამოუგდიათ, აკი, თავად წამოვიდა, აკი, ასე უყვარს და მის გარეშე ცხოვრების გაგრძელების წარმოდგენა უჭირს...

გარედან უკეთ დავინახავო... და შიგნით მყოფმა რაც დაინახეთ და გაიგონეთ, იმასთან დაკავშირებით რა მოიმოქმედეთ? როგორი ნაბიჯები გადადგით? რა შედეგამდე მიხვედით?

თმენის ვალდებულება მქონდა აქამდე, თანამდებობის გამო და იმიტომ არ ვამბობდი არაფერსო... ახლა აღარ გაქვთ თმენის ვალდებულება, არც მორალის ვალდებულება გქონიათ, როგორც მივხვდი... თუ რამის თქმა გსურდათ, გეთქვათ... ან თქმა რა იყო, ან უთქმელობა... ირიბად, დაფარულად, ასე ზოგადად საპატრიარქოს ლანძღვამ რა შეგმატათ თქვენ და თქვენს მორალს, გამაგებინეთ, არ დამიმალოთ...

ვერსიები ბევრი აქვს, მაგრამ ჯერ ერთ ვერსიაზე ვერ შეჯერდა, როგორც ამბობს, მაგრამ დასძენს, რომ სამაგიეროდ ზუსტად იცის, ეს პროცესები გარედანაა მართული... რამდენად გარედან, ნეტავი? ახლო გარედან? შორი გარედან? გარედან გარედან? - როგორ გავიგოთ, რა ვიფიქროთ?

თქვენი არ ვიცი და მე ჩემს ტაძარს მანგრევს თავზე ვიღაც და ჯერ ვერ ვხდები ვინ...

ყველა საათში ახალი ინფორმაცია იდება - წყარო? - წყარო არ სახელდება, გენაცვალე... როგორც კომპეტენტურმა პირმა გვაცნობაო, როგორც გათვიცნობიერებულმა ადამიანმა გაგვაგებინაო, როგორც საპატრიარქოსთან ახლოს მყოფი კაცისგან შევიტყვეთო... სად არიან ეს კეთილისმსურველნი, ვინ არიან, რატომ არ ჩანან, ვინ ამოწმებს მათი ნათქვამი სიმართლეა თუ სიცრუე?...

საქმე იქამდე მივიდა, რომ შუა მარხვაში მკითხავ ლელა კაკულიას მიაკითხეს ჟურნალისტებმა - აბა, გვითხარით, რა ხდება სინამდვილეში საპატრიარქოშიო.... არ დაგვზარდა კაკულია - მომავალში გიორგი მამალაძეს ვხედავ მეუფედო...

ციანიდის საქმე პანდორას ყუთის დაემსგავსა, გაიხსნა და არ იხურება, ამოდის და ამოდის ცხელ-ცხელი ამბები...

თავად ციანიდის ამბავი მაფიქრებს ძალიან...

ნანა კაკაბაძემ განაცხადა, იმიტომ სურდათ რომ გერმანიაში მოეწამლათ და თანაც ციანიდით, რომ ყველას გაეგო საქართველოს უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი რომ მოწამლეს, თორემ საქართველოში რომ მოეწამლათ, დამალავდა მთავრობაო... ისა და ხომ არ შეიშალეთ, ქალბატონო ნანა? ანუ, იმიტომ უნდა მოეწამლათ, რომ ყველას ეფიქრა, რომ ჩვენი ეკლესიის წინამძღვრის დაცვა არ შეგვიძლია? თუ იმიტომ წამლავდნენ, რომ მთავრობისთვის ნიშნი მოეგოთ, აჰა, ახლა ხომ ვერ დამალავთო? ლელა კაკულია შურით ცუდად გამხდარა - ამის თქმა მე როგორ ვერ მოვიფიქრეო...

გადავრეკე ზესტაფონში... ციანიდი მინდა სულ ცოტა-თქო... აკი, გაჟღედა ზესტაფონიდან წამოიღო ციანიდი მამა გიორგიმ და ვინც ციანიდი მისცა, ის ადამიანი გაქცეულიაო...

პატარა ბაზარში გიყიდოთ თუ ილმის გადასახვევშიო - დამიბრუნეს რიტორიკული კითხვა... - რა უნდა ზესტაფონში ციანიდსო...

დავეკითხე იურისტს: - როცა ინფორმაცია გაქვთ, რომ რომელიმე მგზავრის ჩანთაში აკრძალული ნივთიერება ინახება, ჯერ მგზავრი აგყავთ და მიგყავთ და 6 საათის შემდეგ მისი ბარგი-თქო?

სიცილად არ ეყო...

არც მე მეყოფოდა სიცილად, ჩემი ტაძარი რომ არ მენგრეოდეს ახლა თავზე...

მთელი ეს ისტორია ძველ ფრანგულ ფილმს მახსენებს: „მაღალი ქერა მამაკაცი შავ ფეხსაცმელში“. გახსოვთ, ალბათ, პიერ რიშარის გმირს გაასაღებენ ჯაშუშად და დადის ეს „ჯაშუშიც“ მოწამლული ქოლგით, ისე რომ არაფერი იცის საწამლავის შესახებ. ილუპებიან მის ირგვლივ ადამიანები, იხსნება საქმეები, დაიჭერენ ცუდ ბიძიებს და გადაარჩენენ კეთილ ადამიანებს - ყველგან მაღალი, ქერა მამაკაცია შავი ფეხსაცმლით, ოღონდ თავად არაფერ შუაშია, მეტიც, არაფერი იცის...

ვფიქრობ: - რა მოხდებოდა ნეტავი, ეს მაღალი, ქერა მამაკაცი რომ დაეჭირათ და ციხეში ჩაესვათ რამდენიმე კვირით, რას ალიარებდა? ვის დაადებდა ხელს?

მამა გიორგი მამალაძე დუმდა ... სამაგიეროდ, მის ნაცვლად ყველა საუბრობდა, ყველა ვისაც არ ეზარებოდა და ყველა ვიღაცას ადებდა ხელს, ყველას თავისი ვერსია ჰქონდა...



მამა გიორგი მამალაძემ დუმილი დაარღვია. ყველა კითხვაზე ამომწურავად გვიპასუხა თითქმის, მაგრამ მეტი და მეტი კითხვა გვაქვსო - გვითხრა პროკურატურამ... მაღალი ქერა მამაკაცია ეგ შავი ფეხსაცმლით, ბატონო პროკურორო... დიდი ეჭვი მაქვს, არ იცოდით, რომ მაღალ ქერა მამაკაცს იჭერდით შავ ფეხსაცმელში და თქვენც ჯაშუშად შეგასაღეს - თორემ აბა, რატომ ამდენი ურთიერთგამომრიცხავი ბრალდება? რატომ გქონდათ ყოველდღიურად ახალი ვერსია და ვინ გაწოდებდათ ან ახალ ვერსიას, ან ძველს? აკი, მამა გიორგი მამალაძე დუმდა...

დუმდა, იქნებ იმიტომ, რომ მაშინ არაფერი ჰქონდა სათქმელი... იქნებ, მაშინ არც იცოდა რა უნდოდა რეჟისორს რომ ეთქვა... დაუგვიანდათ სცენარის მიწოდება...

სოსო ოხანაშვილი დაეთანხმა ჟურნალისტს - კი, მე ვიყავი ერთადერთი ალტერნატიული საშუალება იმისათვის, რომ სიმართლე მიმეწვდინა კათოლიკოს-პატრიარქამდეო... ჰოდა, თუკი მამა გიორგი მამალაძეს ხმის მიწვდენა სურდა - გადაეცა ერთადერთი ალტერნატიული გზით, მეგობრის საშუალებით...

სიმართლე ერთია და სამწუხაროდ ვერ გავექცევით - ჩაფლულნი არიან მღვდლების და მღვდელმთავრების უმრავლესობა ფუფუნებაში... ლატაკი, ნახევრად მშიერი და შიშველი მრევლის მღვდლები და მღვდელმთავრდები ცხოვრობენ ფუფუნებაში, თორემ, ვატიკანზე ხმა ამომიღია?



ამაზე მღვდლებიც საუბრობდნენ, ერისკაცებიც, ბევრი იწერებოდა, მათ შორის ჩვენს გაზეთშიც... მაგრამ ხმა მღაღადებელსა შინა რჩებოდა...

ახლა მხოლოდ ის ვიცი, რომ დღეს ჩემი ტაძარი თავზე მენგრევა... დღეს, როცა გაავებულ, გაბოროტებულ მღვდელმთავრებსა და მღვდლებს ვუსმენ... როცა ვისმენ რა სიტყვებით მიმართავენ ერთმანეთს... როცა ვხედავ, როგორ გამორბის თმენაუარყოფილი კათოლიკოს-პატრიარქის დაცვის უფროსი იმის მოსაყოლად, რომელსაც „რაღაცა“ ქვია და არ გვიმხელს რა არის... როცა გვეუბნება, რომ ავაზაკებით გარშემორტყმული დატოვა ჩვენი ეკლესიის წინამძღოლი და გამოიქცა, რომ „რუსთავი 2“-ისთვის ინტერვიუ მიეცა და სახეზე ხელები აეფარებინა... როცა ვხედავ, როგორ იბრძვიან ტახტისთვის, რომელიც დაკავებულია...

აი, ეს არის ის შემთხვევა, რის გამოც ქუჩაში გამოსვლა და დგომა ღირს... აი, ახლა უნდა ვიდგეთ ათიათასობით ადამიანი ქუჩაში... ერთად ვიდგეთ და მარხვა დავიცვათ, დილა-საღამოს ლოცვანი წავიკითხოთ, ცუდი სიტყვებით არ მივმართოთ ადამიანებს... იქნება შერცხვეთ, იქნება მიხვდნენ, იქნება ანაფორის კალთა ჩამოიფარონ, იქნება მეორე ლოყა მოგვიშვირონ... იქნებ მერე მაინც გაირკვეს სიმართლე... თორემ, ჩამოგვენგრა ჩვენი ტაძარი თავზე და ესაა...

**თამუნა კუშელავა**
555 46 08 04

# გაიოზ მამალაძე:
# თუ პროვოკაციაა ის, რაც დეკანოზ გიორგი მამალაძესთან დაკავშირებით ხდება, ამ პროვოკაციით ყველაზე დიდი ზიანი საპატრიარქოს და ბიძინა ივანიშვილის სახელს მიადგა



**შემთხვევითი არაა, რომ „ციანიდის საქმემდე“ ცოტა ხნით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ლაშა ნაცვლიშვილი ცდილობდა ნაციონალებისთვის მიეყიდა ფარული ჩანაწერი, სადაც, თითქოსდა, ბიძინა ივანიშვილი პატრიარქს ლანძღავდა**

გვესაუბრება საქართველოს სამეფო კლუბის სპიკერი **გაიოზ მამალაძე**.

**— ბატონო გაიოზ, თქვენი მოგვარე, დეკანოზი გიორგი მამალაძე უმძიმეს დანაშაულში არის ეჭვმიტანილი.**

— საქმეს სამართლებრივად გაუმართავად აწარმოებენ. პირველ რიგში, დარღვეულია უდანაშაულობის პრეზუმპცია. პრემიერ-მინისტრმა, მთავრობის წევრებმა დეკანოზი პირდაპირ დამნაშავედ წარმოაჩინეს საზოგადოების წინაშე. განაცხადეს, თითქოს მას პატრიარქის მოწამლვა უნდოდა და ა. შ.

**— თუმცა შემდეგ პროკურატურამ განცხადება გაავრცელა**



ირმა ჭკადუა

**— მაღალი სასულიერო პირი ვთქვით, თქვენ პატრიარქი იგულისხმეთო.**

— იმ პერიოდში პატრიარქი ოპერაციას იკეთებდა და პროკურატურის განცხადება ყველამ აღიქვა ისე, რომ ეს იყო პატრიარქის წინააღმდეგ მიმართული ქმედება, მერე თქვეს, უმაღლესი სასულიერო პირიო, მერე სხვა რამე.

რაც შეეხება თვითონ საწამლავს — აბსურდია ამაზე მსჯელობა. ევროკავშირის ქვეყნებში ტერორიზმის საფრთხის გამო კონტროლი იმდენად გამკაცრებულია, რომ საწამლავის კი არა, ლიმონათის შეტანაზეც ათასნაირ შემოწმებას გადიან.

**— ყველაფერი საპატრიარქოს შიგნით მიმდინარე პროცესებს უნდა დავუკავშიროთ თუ მოქმედებები გარედან არის მართული?**

— მე ვფიქრობ, ყველაფერი გეოპოლიტიკური დაპირისპირებების შედეგია. საქართველოზე არაერთ სახელმწიფოს აქვს თვალი დადგმული, რათა ეს ქვეყანა საკუთარი გავლენის ფარგლებში სრულად მოაქციოს.

შესაძლოა, საპატრიარქოში შიდა დაპირისპირებებიც იყოს. არის დაჯგუფებები, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან, რადგან ჩვენი სპეცსამსახურები, ჩემი შეფასებით, არაეფექტურად მუშაობენ და გეოპოლიტიკურ თამაშებში საქართველო ხშირად მარცხდება.

არ გამოვრიცხავ, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ საქართველოში სპეციალური სცენარის განხორციელება იგეგმებოდა, რასაც ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურები დაუფიქრებლად აჰყვნენ. ჩვენს ეკლესიას ჩრდილი მიაყენეს მსოფლიოს მასშტაბით — საქართველოს ეკლესიაში არიან ისეთი სასულიერო პირები, რომლებსაც უნდათ მკვლელობა, სულ ერთია, ვისი. საპატრიარქოს მართავს ქალბატონიო და ამას ადასტურებს ერთ-ერთი უმაღლესი სასულიერო პირი. მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ სხვა მიტროპოლიტი, მეუფე იაკობი დაპირისპირებულია პატრიარქის დაცვის უფროსთან და ა. შ. რაც, საბოლოო ჯამში, ნიშნავს, რომ საქართველოს პატრიარქი, რომელიც მართლმადიდებლურ სამყაროში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს, თურმე ვერ მართავს სიტუაციას.

დავუშვათ, გადავიდა დეკანოზი **გიორგი მამალაძე** ჭკუიდან და რაღაც საშინელებას აპირებდა, თუ ჩვენს ხელისუფლებას და პროკურატურას უნდოდა, აღეკვეთა ინციდენტი, ეს უნდა გაეკეთებინათ ისე, რომ საქმე ყოფილიყო გრიფით საიდუმლო, პატრიარქი ჩაეყენებინათ საქმის კურსში, არავითარი პროცედურა არ დარღვეულიყო. თუ გაგიჟდა დეკანოზი — ემკურნალათ, თუ მოუწყვეს — გამოერკვიათ ისე, რომ არ შერცხვენილიყო არც სამართალდამცავი სტრუქტურები და არც ქართველი ხალხი. როდესაც მთავრობა შეცდომას უშვებს, ეს მხოლოდ მისი შეცდომა არ არის, არამედ მთელი სახელმწიფოს შეცდომაა და პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციის მცდელობა.

**— ივანიშვილი რაღა შუაშია?**

— ზოგიერთებმა უკვე ხმამაღლა განაცხადეს, რომ ეს იყო **ბიძინა ივანიშვილის** დავალება, მას სურდა გავლენების გაძლიერება. შურდა, პატრიარქს მასზე დიდი ავტორიტეტი რომ ჰქონდა და ა. შ. პროკურატურას და მთავრობას რომ დახვეწილად ემოქმედათ, ოპოზიცია ივანიშვილის სახელს საერთოდ არ დაუკავშირებდა ამ საქმეს.

სამწუხაროდ, პროფესიონალიზმი აკლია „ქართული ოცნების“ გუნდს.

რამდენიმე ხნის წინ „რუსთავი-2“-მა გაავრცელა ინფორმაცია, გენერალური პროკურორის ყოფილ პირველ მოადგილეს **ლაშა ნაცვლიშვილს** ჩვენთვის უნდა მოეყიდა ჩანაწერები, სადაც ბიძინა ივანიშვილი აუგად მოიხსენიებს პატრიარქსო. შეიძლება ხელისუფლებამ წინასწარ ის როლი გაითამაშა: ჩვენ იმ ადამიანის მეგობრები კი არ ვართ, რომლებიც პატრიარქს ცუდად მოიხსენიებენ, ის ხალხი ვართ, რომლებიც პატრიარქს ვიცავთო. მე ვფიქრობ, უცხოეთის სპეცსამსახურებმა მშვენივრად იცოდნენ აქ არსებული სიტუაციის შესახებ და მთავრობის წარმომადგენლები წამოაგეს პროვოკაციაზე, მათ არ აწყობთ სტაბილურობა საქართველოში.

გარდა ამისა, პროკურატურისა და მთავრობის გაუმართავი, დაუხვეწავი მუშაობა აზიანებს პირადად ივანიშვილის ავტორიტეტს, რადგან, ასეა თუ ისე, ხელისუფლება მაინც მის სახელთან ასოცირდება.

**— თქვენ იცნობთ დეკანოზ გიორგი მამალაძეს?**

— ჩვენი გვარი რომ დალოცეს, მაშინ იყო იქ დეკანოზი. შორიდან ვიცნობ. რამდენადაც ვიცი, თბილი და ყურადღებიანი ადამიანია.

**— რატომ მოექცა ამ საქმის ეპიცენტრში დეკანოზი, რას ფიქრობთ, შესაძლებელია, ის უდანაშაულო იყოს?**

— რადგან ის ქონებრივ საკითხებზე მუშაობდა, სავსებით შესაძლებელია, გარკვეული მაქინაციების მსხვერპლი იყოს. მეორეც, არ გამოვრიცხავ, მსხვერპლი იყოს **ირაკლი მამალაძეც**. გვარში იმასაც ამბობენ, ირაკლი მამალაძეს შეიძლება არ უნდოდა მოგვარე რომ გაეწირა, მაგრამ რაღაცის გამო აიძულესო. ამ შემთხვევაში ორივე მსხვერპლია. თუ ირაკლი მამალაძე აიძულეს, ისიც მსხვერპლი გამოდის. მეცოდება ეს ადამიანი. მას ძალიან გაუჭირდება ცხოვრება ამ ტვირთით.

მე ძალიან მაინტერესებს, მთავარი მოწმე რატომ არ დაიკითხა მას მერე, რაც დეკანოზი დაიჭირეს, რანაირი მოწმეა ადვოკატი **ირმა ჭკადუა**?!

სამწუხაროდ, გაფუჭებულ ტელეფონს თამაშობს გამოძიება.

**— გავრცელდა ვიდეომიმართვა, სადაც პატრიარქი ამბობს: მამა გიორგიზე კარგის მეტი არაფერი მსმენიაო. ეს ვიდეომიმართვა ცოტა ხნის შემდეგ უფრო ვრცელი ფორმითაც აჩვენეს. რა ხდება, როგორ ფიქრობთ?**

— გაურკვეველია, ვინ ჩაიწერა ეს ინტერვიუ. როგორც ცნობილია, ჯერ ზუგდიდი-ცაიშის ეპარქიის საიტზე გამოქვეყნდა და მერე „ობიექტივმა“ მოიპოვა სრული ვერსიაო. საეჭვოდ ჩანს ყველაფერი. თუ იმ საიტზე მიჭრილ-მოჭრილი გამოქვეყნდა, „ობიექტივმა“ ორიგინალი როგორ მოიპოვა?! მე მგონი, ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი.

პატრიარქმა ეს მიმართვა რომ ჩაწერა, მაშინ არ შეიძლებოდა სცოდნოდა, ცვლიდა თუ არა დეკანოზი ჩვენებებს, რადგან მამა გიორგი მამალაძე დუმილის უფლებით სარგებლობდა. მისი ადვოკატი პატრიარქს არ უნახავს, არც არსად დაურეკავს მას. თუ ადვოკატსა და ეჭვმიტანილს პროკურატურამ მოუსმინა ფარულად, მაშინ მას დანაშაული ჩაუდენია. შეიძლება დაინტერესებულმა პირებმა პატრიარქს უთხრეს, რომ დეკანოზი ცვლიდა ჩვენებას.



ლაშა ნაცვლიშვილი

ერთი რამ მაინტერესებს, თუ მკვლელად ან მკვლელობის განმზრახველად თვლიდნენ მამა გიორგის, რატომღა შევიდა მასთან საზიარებლად მეუფე ანდრია? მეორე დღეს მასთან საკანში მივიდა მეუფე პეტრეც, რომელმაც თქვა — მართალია ეს კაციო. ორი მეუფე ადასტურებს, რომ გიორგი მამალაძე არის უდანაშაულო, მაგრამ მათ შესვლამდე ვიღაცამ მიაწოდა პატრიარქს ინფორმაცია — დეკანოზი ჩვენებებს ცვლისო. პატრიარქმა ერთხელ თქვა: ჩვენებებს ცვლისო, მერე თქვა: დეკანოზზე კარგის მეტი არაფერი მსმენიაო, ანუ ჩანაწერი ნაჭერ-ნაჭერ აჩვენეს, მერე ვითომ გამოჩნდა მთლიანი ჩანაწერი. ამასაც უნდა მიაქციოს გამოძიებამ ყურადღება.

საბოლოოდ კი ხელისუფლების მიზანი უნდა იყოს, ეკლესიაში დამყარდეს წესრიგი, რადგან ეს არის ინსტიტუცია, რომელიც ძალიან ბევრ სახელმწიფოებრივ საკითხს აგვარებს, თუნდაც მიწების შესყიდვის თვალსაზრისით და ა. შ. ქართულ მიწებს, ქართველი ერის ინტერესებს, ენას, კულტურას ინახავს ეკლესია.

კანონმდებლობით მიწების გაყიდვის პროცესის შეჩერება სახელმწიფოს არ შეუძლია. ეკლესიისთვის გადაცემული მიწები არის რეზერვი, მარაგი, რომელიც არ გაიყიდება. ეკლესია არავისზე არასდროს მიწას არ გაყიდის.

კონკორდატის მიხედვით, ეკლესიას აძლევენ იმის კომპენსაციას, რა ზარალიც განიცადა ბოლშევიკური რევოლუციის პერიოდში. ამას გარდა, კიდევ აფინანსებენ და ეს თანხა ბავშვთა სახლებისთვის, საავადმყოფოებისთვის, გაჭირვებული და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის უნდა იქნას გამოყენებული. მე ვიცი, უამრავი სიკეთე გაკეთდა ეკლესიის თანხებით.

საერთოდაც, რაც უფრო მდიდარი იქნება ეკლესია, ძლიერი სტრუქტურულად, მით უფრო ძლიერი იქნება ქართველი ერი. ქართველი ერის სიძლიერე კი ქართული სახელმწიფოს სიძლიერეს ნიშნავს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „ეკლესიაა თუ ბიზნესკლუბი, სადაც ანაფორაში გადაცმული მაფიოზები დათარეშობენ“?!

ამ დღეებში საპატრიარქოსთან ათეული წლების განმავლობაში დაახლოებულ პირს შევხვდი. აი, რას მოგვითხრობს იგი:

„პატრიარქს თავის მემკვიდრედ ურბნისისა და რუისის ეპარქიის მმართველი, **მიტროპოლიტი იობი** ჰყავს ამორჩეული, მაგრამ ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მმართველი, **მიტროპოლიტი დანიელი** პირველობას არავის უთმობს. ბოლოს და ბოლოს გაგვარკვიონ, რა უნდა მეუფე დანიელს, პატრიარქს რომ ეწებება და სახელს უტეხს, ის არის პირველი მაფიოზი საპატრიარქოში.

სამწუხაროდ, იქ უდიდესი მაფია ტრიალებს. წილებს ვერ იყოფენ მეუფეები. ახლა გასეირნება მოუნდათ. რად უნდოდა გერმანიაში სამკურნალოდ წასულ პატრიარქს 80-კაციანი ჯგუფი, 15-20 ადამიანი არ ეყოფოდა? თუ ლოცვა უნდოდათ, აქედან არ შეეწეოდა? მაგრამ საპატრიარქოს დიდძალი ქონების ხარჯზე ფუფუნებაში არიან, საზღვარგარეთაც დადიან, როცა მოისურვებენ. მე და ჩემნაირებს ქოხმახები გვაქვს, რადგან მონასტერს და ეკლესიას შევწირეთ ყველაფერი. არც ვნანობ. დიდება უფალს! მისი სახელისთვის გავაკეთე ყველაფერი.

მაგრამ ყველაფრის თავი და თავი სხვა რამეა — რითი გარდაიცვალა პატრიარქი **დავით V (დევდარიანი)**, იცით? ეს ამბები დედა ეფემია ხიზანიშვილმა იცოდა ყველაზე კარგად. კომაში იყო პატრიარქი, არ მიუყვანეს ექიმი, სანამ ილია შიოლაშვილი არ ჩამოვიდა ცხუმ-აფხაზეთიდანო, ამბობდა. პატრიარქ დავითს ანდერძი **გაიოზ კერატიშვილზე** ჰქონდა დაწერილი. მერე ვიღაცებმა ხანძარი გააჩინეს და დაწვეს ანდერძიც და ყველაფერი. გაიოზ კერატიშვილი მერე დააპატიმრეს ვითომ ქურდობის გამო.

პატრიარქს უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას. პატრიარქ დავითს სულის ამოხდომამდე პირში შეჰყურებდნენ, თუმცა ჩვენს პატრიარქს რომ ესევიან, ეს უარესია. ალყაში ჰყავთ ადამიანი... როგორც ვხედავთ, არაფერი არ იკარგება. ცოდვა თავის გზას პოულობს...

დიახ, დღეს **შორენა თეთრუაშვილი** არის საპატრიარქოს ოფიციალური მმართველი.

ვინ არის შორენა თეთრუაშვილი?

ეს ქალბატონი ფიზკულტურის ქუჩაზე გაიზარდა. ძალიან ღარიბები იყვნენ. მამამისი რომ გარდაიცვალა, მახსოვს, ხალიჩები საპატრიარქოდან წავიღეთ, ტოლით იყო კედლები ამოჭედილი. დუშეთის რაიონის სოფელი ხორხიდან არის თეთრუაშვილი წარმოშობით.

25 წლის იქნებოდა, პატრიარქთან რომ დაიწყო მუშაობა. მახსოვს, ფეხსაცმელიც არ ჰქონდა. მე შემეხვეწა ერთხელ, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები მიყიდეო. ეს ქალბატონი დღეს საზღვარგარეთ დადის ტანსაცმლის და ფეხსაცმლის საყიდლად. მისი ძალაუფლება იმდენად დიდია, დღეს ვერავითარ კურთხევას ვერ მიიღებს ღვთისმსახური შორენას ნების გარეშე. მსხილ ბიზნესებში აქვს წილები. პატრიარქთან ყველა საქმე არ შედის. შორენა წყვეტს საკითხებს. რამდენი მღვდელმსახური ჰყავს ამ ქალს და მის ხელქვეითებს გაუბედურებული, ვინ იცის. მარტო **მამა ბასილი მკალავიშვილი** ეყოფათ. დაღუპეს ადამიანი. ციხეში ჩაასმევინეს, აწამეს.

**შორენა თეთრუაშვილი** ვინ არის, ყველამ იცის. **მამა არჩილ მინდიაშვილი** მოგიყვებათ ყველაფერს. ჩემთვის აქვს მონათხრობი და მამა არჩილი ტყუილს არ იტყვის. ეს ცნობილი ამბავია. მამა არჩილის შეყვარებული ავარიაში დაიღუპა მცხეთის გზაზე, რაშიც მამა არჩილი შორენას ადანაშაულებს. მერე მამაო ბერობასაც აპირებდა. როგორც ამბობენ, მაშინ შორენას მამა არჩილი ჰყვარებია... ბევრი კითხვის ნიშანია ამ ისტორიაშიც.

მოგეხსენებათ, ეს ქალბატონი ზვიად გამსახურდიამ გაათავისუფლა სამსახურიდან. იცოდა ზვიადმა, ვინც იყო შორენა თეთრუაშვილი. აგენტი რომ იყო, მშვენივრად უწყოდა. ამით, მგონი, ყველაფერია ნათქვამი.

მახსოვს, ერთხელ იარაღიც ესროლეს საპატრიარქოში მღვდელმსახურებმა ერთმანეთს — შენზე დიდი ხნის მღვდელსახური მე ვარო. კინაღამ დახოცეს ერთმანეთი.

საპატრიარქოში არსებული გაუკითხაობის გამო ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოს აუმხედრდა პატრიარქს **მიტროპოლიტი შიო ავალიშვილი**...

ჩუმად საპატრიარქოში არსებულ სომხურ მაფიაზეც ლაპარაკობენ...

ყველამ იცის, წლების მანძილზე საპატრიარქოს სახელზე უცხოეთიდან მრავალი ათასი ტონა ტვირთი იგზავნებოდა სიგარეტით, წამლებით და პროდუქტებით სავსე, რადგან საპატრიარქოსთვის განკუთვნილი ტვირთი არ იბეგრება.

რაც შეეხება მოწამვლის ფაქტებს. ასეთი შემთხვევები — არახალია. იმასაც ამბობდნენ, რომ **მიტროპოლიტი ამბროსი** (ქათამაძე) გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. გაზეთები წერდნენ, ზოგიერთი ექსპერტი ამბობდა: მეუფის ოთახში სპეციალური ნივთიერება იყო გაშვებული და მეუფე ამით სასიკვდილოდ მოიწამლაო.

**პატრიარქი ილია** II ვლადიკავკაზშია დაბადებული და გაზრდილი. რუსულ ენაზე აქვს განათლება მიღებული. ზაგორსკში სწავლობდა სასულიერო სემინარიაში. თბილისში რომ ჩამოვიდა, ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში მივიდა და იქ აღიკვეცა ბერად. მერე გადავიდა მცხეთაში.

მისი ძმა **ვიქტორი** საპატრიარქოში მუშაობდა მაშინ **დავით** V-ის დროს. ხანძარი რომ გაჩაღდა, ვიქტორმა გააჩინა ცეცხლი მაშინო, ამბობდა დედა **იღუმენია ეფემია ხიზანიშვილი**. დედა ეფემია იღუმენიად გაიოზ კერატიშვილსგან იყო ხელდასმული, ილია II რომ მოვიდა, გადააყენა დედა ეფემია იღუმენობიდან. დედა ეფემია ცალკე იყო, განდეგილად და ასე გარდაიცვალა. ერთხელ ვკითხე, რა ხდება, დედაო, მონასტერში-მეთქი. მიპასუხა: აღარ არსებობს, შვილო, ეკლესია-მონასტერი საქართველოშიო. ეს იყო 1983 წელი. დედა ეფემია 96 წლისა გარდაიცვალა. 16 წლისა მივიდა და აღიკვეცა მონაზვნად. მაშინაც არ იყო წესრიგი, მაგრამ საპატრიარქოში ახლა რაც ხდება, ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ბიზნესია გაჩაღებული ეკლესიებში, კიდევ ვიმეორებ, სავსეა საპატრიარქო მაფიოზებით. ვერ გაიგებთ, ეკლესიაა თუ ბიზნესკლუბი, სადაც ანაფორაში გადაცმული მაფიოზები დათარეშობენ“.


შორენა თეთრუაშვილი

საქართველოში ყველაზე ძლიერი ინსტიტუცია, ვისაც ქართველი ხალხი ენდობა, არის ეკლესია და ეს, უპირველეს ყოვლისა, გენეტიკური რწმენის შედეგი უფრო მგონია, ვიდრე დღევანდელი ეკლესიის დამსახურება.

ეროვნული ხელისუფლების მმართველობისას, ეკლესია ხელისუფლებისა და ხალხის წინააღმდეგ წავიდა, გამსახურდიას ზურგი აქცია და როგორც მერე **ჯაბა იოსელიანი** იკვეხნიდა თურმე, პატრიარქმა შემომთავაზა საეკლესიო ჯარი შევქმნათო...

შემდეგ შევარდნაძეს ამოუდგა მხარში საპატრიარქო და ედუარდგიორგის საქართველოში ჩამოსვლა „ხმა ღვთისა და ხმა ერისად“ მიიჩნია.

**სააკაშვილი, ბოკერია, თარგამაძე, უგულავა** და თვით ის წყეული, ჩვენთვის უგზოუკვლოდ გაუჩინარებული კუდის უფროსი **სოსო თოფურიძეც** საპატრიარქოს ხშირი სტუმარი იყვნენ.

სჯულის კანონს არღვევდნენ, სააკაშვილი ამბიონზე აჰყავდათ საქადაგებლად.

მოგეხსენებათ, ეკლესიას ყოველთვის ჰქონდა გავლენები საზოგადოებაზე, პოლიტიკაზე. ამის მოშლას ცდილობენ ახლა აგრესიული გარე ძალები, რათა საქართველოს სახელმწიფო ბოლომდე დაშალონ და დააქუცმაცონ.

გარკვეული დროის წინ პატარა წერილი გამოვაქვეყნე ჩვენი ქვეყნის უბედურ ყოფასთან დაკავშირებით. ამერიკიდან ფეისბუქში ჩემი უცნობი მოგვარე შემეხმიანა და სარკასტულად მომწერა: რა გეშველებათ, თქვენ გგონიათ, მთელ მსოფლიოს საქართველოზე მეტი საფიქრალი არ აქვს და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის დაღუპვაზე ფიქრობენო?!

წარმოიდგინეთ და, ვინც უნდა ინტერესდებოდეს, დიახაც, ინტერესდება ჩვენით და ჩვენი განადგურება, რაშიც ქართველების ერთი ნაწილი სიამოვნებით მონაწილეობს, მშვენივრად გამოსდით...

ამბობენ, საპატრიარქოში კლანები ებრძვიან ერთმანეთს ძალაუფლების მოსაპოვებლადო. ამ კლანებს პოლიტიკური ინტერესებიც აქვთ, მათ მხარს ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები უმაგრებენ, რომლებმაც ეპარქიების მმართველებს, მაღალ სასულიერო იერარქებს დიდძალი ქონება გადასცეს საჩუქრად პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად და მერე მის შესანარჩუნებლად...

ერთ ჩემს მეგობარს ორიოდე წლის წინ მკერდის სიმსივნე აღმოუჩინეს. მისი ოჯახის წევრებმა ეს ამბავი მასზე ადრე გაიგეს. დაიწყო ჩემი მეგობრის ინტენსიური მკურნალობა. ერთი პროცედურის დროს თურმე ვენაში ისეთი წამალი შეუყვანეს, რომელსაც მხოლოდ სიმსივნეებიანებს უკეთებენ. ჩემი მეგობარი ექიმია. მან მომიყვა მერე: ეს წამალი რომ დავინახე, ცრემლები წამომივიდა და თვითონ ვუთხარი ექიმს — კიბო მაქვს, ხომო? იმის შემდეგ ეს ქალი, რომ იტყვიან, დაუღალავად ებრძვის ამ საშინელ სენს. 7 ოპერაცია გაიკეთა და კიდევ იბრძვის, რადგან იცის, რას ებრძვის და რატომ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერს როცა თავის სახელს დაარქმევ, მასთან ბრძოლის მოგება, უფრო წარმატებულად არის შესაძლებელი.

ახლა ისევ ხალხი იცავს ეკლესიის შელახულ ღირსებას, იმ ღირსებას, რომელიც ხალხმა ამდენ ხანს უნახა და ბოლოს თვითონ ვერ შეინახეს.

ეტყობა, მეორედ მოსვლა ახლოვდება, რადგან, როგორც დაწერილია: ბოლო ჟამს ეკლესიაში სიწმინდეს ვეღარ იხილავს უფალი.



**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# დონალდ ტრამპმა სომხური ლობის გავლენას წერტილი დაუსვა

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ამოუცნობი და გაბედული პოლიტიკოსი აღმოჩნდა, რომელიც გადაწყვეტილებებს სწრაფად იღებს და მმართველობის პირველივე დღეებიდან ყველას დაანახა, რომ უმრავლესობის წინააღმდეგაც კი წავა, თუ საქმე ქვეყნის ნაციონალურ ინტერესებს ეხება, როგორადაც ისინი მას ესახება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ტრამპის პრეზიდენტობა ექსპერტებისა და მსოფლიოს პოლიტიკოსების განსჯის ამოუწურავი თემა გახდება. თუმცა, ამჯერად ამ საკითხის მხოლოდ ვიწრო ასპექტი — დიასპორებთან, კერძოდ სომხურ დიასპორასთან ურთიერთობაა, რომლის მდგომარეობა ამერიკაში ტრამპის მმართველობაში მოსვლის შემდეგ შესამჩნევად შეირყა.

ამერიკაში სომხური დიასპორის ისტორია — ეს ნებისმიერი პარაზიტის ისტორიაა — ის იზრდებოდა და ფესვებს იდგამდა და რაღაც მომენტში ამერიკის




საზოგადოების იმდენად მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა, რომ ხელისუფლების მიმართ მოთხოვნების წაყენებაც კი დაიწყო. და მრავალი წლის განმავლობაში მათი ეს მოთხოვნები, ავად თუ კარგად, კმაყოფილდებოდა.

ხშირად სომხურ-ამერიკული ორგანიზაციების ლიდერებს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ კონგრესსა და თეთრ სახლში მოღვაწე დემოკრატებთან.

მაგალითისთვის, უკანასკნელ საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატების კანდიდატს ჰილარი კლინტონს მრავალი წლის განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა სომხური თემის ზოგიერთ წარმომადგენელთან.

საქმე მხოლოდ კლინტონს როდი ეხება, იმდენად, რამდენადაც სომხური ლობი ოსტატურად იყენებდა ამერიკის ხელისუფლების განსხვავებულობას — ცნობილია, რომ კენედის ეპოქის შემდეგ მოსული ადამიანები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში იყვნენ, ყოველთვის ვიღაცის ინტერესებს წარმოადგენდნენ. ეს შეიძლება ყოფილიყო ის საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც აფინანსებდნენ ძვირადღირებულ საპრეზიდენტო კამპანიებს ან ამერიკელი სენატორების წინასაარჩევნო კამპანიებს. ეს პოლიტიკური ფიგურები, მაქსიმალურად მეტი ფინანსური ინსტრუმენტები რომ მიეღოთ, ფრიად ლოიალურები იყვნენ სპონსორების მიმართ, რომელთა შორისაც იყვნენ აშშ-ის მსხვილი დიასპორები და უკვე თანამდებობებზე ყოფნისას მათ უნდა გაეთვალისწინებინათ თავიანთი სპონსორების ინტერესები.

ეს სქემა არასოდეს ყოფილა საიდუმლო. პირიქით, სომხური ლობი დაუფარავად წარმოადგენდა პრეტენზიებს შეუსრულებელი ვალდებულებების გამო. 2012 წელს წამყვანმა პროსომხურმა ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ მხარს არ დაუჭერდნენ დემოკრატი ბარაკ ობამას მეორე ვადით არჩევას, რადგან მან დაარღვია წინასაარჩევნო დაპირება და არ ცნო ე. წ. „სომხების გენოციდი“.

ტრამპის მოსვლასთან ერთად, წლების განმავლობაში კარგად დამუშავებულ სქემაში, რომელიც ლობირებას უწევდა პროსომხურ ინტერესებს, როდესაც სომხები დიდ თანხებს იხდიდნენ წინასაარჩევნო ფონდებში და შემდეგ პრეფერენციებს ითხოვდნენ, მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა.

ამერიკის ახალი პრეზიდენტი ღარიბი არ არის და არც სპონსორები სჭირდება. ოლიგარქიის წარმომადგენელი, წარმატებული ბიზნესმენი, რომელმაც თავად დააფინანსა საკუთარი წინასაარჩევნო კამპანია, სხვა ინვესტიციებისა თუ შემოწირულობების გარეშე, უცებ შიშისმომგვრელად დამოუკიდებელი აღმოჩნდა. მას არავისი არაფერი მართებს, სომხურ დიასპორას მასზე არავითარი გავლენა არ აქვს და ის, რომ ეს ტენდენცია მინიმუმ ოთხი წელი მაინც გაგრძელდება, სომხებს ძალიან აშინებს.

სომხური ლობისტური ორგანიზაციები უშედეგოდ ცდილობდნენ ტრამპთან შეხვედრას, რათა მისი პოზიციები დაეზუსტებინათ. ამის შესახებ უამბო სომხურ გამოცემას „პირველი საინფორმაციო“, აშშ-ში სომხური დიასპორის ერთ-ერთი ბედვითი ორგანოს, გაზეთ „კალიფორნია კურიერის“ გამომცემელმა და რედაქტორმა არუტ სასუნიანმა.

მისი სიტყვებით, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, სომხური ორგანიზაციები და სომხური თემის წარმომადგენლები ცდილობდნენ, შეხვედროდნენ ტრამპს, რათა გაეგოთ, რას ფიქრობს იგი „სომხურ საკითხთან“ დაკავშირებით და როგორი პოზიცია აქვს, თუმცა, შეხვედრის ყველა მცდელობა ამაო გამოდგა.

და ეს სულაც არ არის გასაკვირი, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბოლო არჩევნების პერიოდში სომხურმა ორგანიზაციებმა მილიონობით დოლარი დახარჯეს და ტრამპის წინააღმდეგ უკომპრომისო და აგრესიულ კამპანიას აწარმოებდნენ. ამასთან, იყენებდნენ ყველა საშუალებას — ინტერნეტში უწყვეტი შეტევებიდან დაწყებული, დეზინფორმაციის აქტიური გავრცელებით დამთავრებული.

იმის გავითვალისწინებით, რომ სომეხმა ლობისტებმა ტრამპი ლაფში ამოსვარეს და იგი მაინც გახდა პრეზიდენტი, ასევე ის, რომ სენატში ვერ მოხვდა ტრამპის მოწინააღმდეგე სომხების მხარდამჭერი რესპუბლიკელი სენატორი მარკ კირკი, რომელიც სომხური კოკუსის (კონგრესმენების ჯგუფი, რომელიც სომხურ საკითხებზე მუშაობს) თანათავმჯდომარეა და სენატში ნევადის შტატის წარმომადგენელი, სომეხთა მხარდამჭერი კანდიდატი ჯო ჰეკი, 2016 წელი ამერიკის სომხური ლობისთვის სრული კატასტროფით დასრულდა.

თუმცა, პროამერიკული მიმართულების სენატორები და კონგრესმენები ხელისუფლებაში რომც მოსულიყვნენ, მათ ახალი პრეზიდენტისგან მაინც ელოდათ ძალზე არასასიამოვნო სიურპრიზი. საქმე ის გახლავთ, რომ, როგორც წინასაარჩევნო კამპანიის დროს იყო გაცხადებული, ახალი პრეზიდენტის გეგმის ერთ-ერთი პუნქტი იყო სახელისუფლო სტრუქტურებში ლობიზმთან ბრძოლა. „ჩვენ შემოვიღებთ აკრძალვას ჩინოვნიკებისთვის, ადმინისტრაციიდან წასვლის შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში ლობისტობაზე, ხოლო უცხოეთის ხელისუფლების სახელით ლობირება კი მათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეკრძალებათ“, — განაცხადა ტრამპმა.

როგორც ტრამპის პრეზიდენტობის ხანმოკლე პერიოდში გამოჩნდა, მან წინასაარჩევნო პერიოდში მიცემული დაპირებების ასრულება მალევე დაიწყო.

ამერიკაში პოლიტიკური ჯგუფებისგან დამოუკიდებლობა ტრამპს დაეხმარება, საღად მიუდგეს სამხრეთ კავკასიის საკითხებს და გაითვალისწინოს ამერიკის და არა სომხური ლობის ინტერესები.

თარგმნა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22



# კონსპირაციული ომი საქართველოს და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ გრძელდება

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სგ“ N6)

**ვაგრძელებთ საუბარს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორ, ფილოსოფოსი-თეოლოგ დენიზა სუმბაძესთან.**

**— ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით, საქართველოს საპატრიარქომ 2011 წელს განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ ქართველ ტამპლიერთა ორდენის დაარსება კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით არ მომხდარა. რომ ტამპლიერთა და სხვათა ორდენები მართლმადიდებელი სამყაროსთვის, მისი ტრადიციებისა და კანონიკისთვის უცხო და მიუღებელია.**

— დიახ, საქართველოს საპატრიარქომ გამოაცხადა, რომ ტამპლიერები არ უკურთხებიათ, მაგრამ ფაქტი და რეალობა სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებს. საპატრიარქოს ოფიციალური მდივანი სხვა განცხადებას აკეთებს, პატრიარქის მოღვაწეობაში სხვა რამეს ვხედავთ. ტამპლიერების შემდეგ, ისევ სახელმწიფო იდეოლოგიის გავლენით, 2007 წელს პატრიარქს სრულიად საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“ აკურთხებინეს. ამ ფაქტით დაინტერესდი იმიტომ, რომ აშკარაა, ქრისტიანულ სამყაროში შემოდის საპირისპირო მსოფლმხედველობრივი ძალა, რადგან „დავითიანნი“ არის საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლისა და ისრაელის ბიბლიური მეფის დავით მეფსალმუნის შთამომავალთა მოძრაობა. ამ მოძრაობით საქართველოს ეკლესია ქართველ ახალგაზრდობას ორი დავითის შთამომავლობად აცხადებს, რაც ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელია. ერთია, რომ თაყვანი ვცეთ და ვაღიაროთ კაცობრიობის ყველა გამოჩენილი ადამიანი, მაგრამ ამან ჩემში ეროვნული თვითმყოფადობის აღრევა ან ჩემს ეროვნულ ინდივიდუალობაზე თავდასხმა არ უნდა გამოიწვიოს. გარდა ამისა, არანაირი აუცილებლობა არ არსებობს, რომ ჩვენი თავი დავით აღმაშენებლისა და დავით წინასწარმეტყველის თანაბარ შთამომავლებად მოვიხსენიოთ.

**— რას ნიშნავს, ანდა რა მიზანი ჰქონდა ტამპლიერთა ორდენის კურთხევას საქართველოს პატრიარქის მიერ და რატომ იყო დაუშვებელი ამ ორდენის კურთხევა საქართველოს ეკლესიის მხრიდან?**

— სიტყვა „ტამპლიერი“ ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „ტაძრელს“. „ტამპლიერები“ ანუ „ტაძრელები“ ეწოდებოდათ ჯვაროსნული მოძრაობის წარმომადგენელ იმ ევროპელ რაინდებს, რომლებიც ქრისტეს საფლავის განმათავისუფლებელ მოძრაობას შეუერთდნენ თავისი საკუთარი მიზნის, ებრაელთა ცნობილი მეფის, სოლომონის ტაძრის აღდგენისათვის. ამიტომ ატარებდნენ ისინი ორმაგი მნიშვნელობის სახელწოდებას: „ქრისტეს ღარიბი ჯარისკაცებისა და ტაძრელების“. აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლური ეკლესია ზეიმით აღნიშნავს იერუსალიმის პატრიარქის, წმინდ კირილე იერუსალიმელის ხსენების დღეს. წმინდა კირილე იერუსალიმელი სოლომონის ტაძრის აღდგენისათვის წარმოჩენილ მოძრაობას, კაცობრიობისათვის რაღაც დიდი უბედურების მომასწავებელ ნიშნად მიიჩნევდა. პოსტსაბჭოთა სივრცეში გაუგონარი რამ მოხდა. როგორც ჯორჯ სოროსის „ღია სამოქალაქო საზოგადოებები“, ასევე სოკოებივით, ყველგან აღმოცენდნენ „ტამპლიერები“. საქართველოში ისინი ოფიციალურად იქნენ რეგისტრირებულნი ზუსტად იმ დროს, როდესაც საქართველოს პატრიარქი ინგლისში იმყოფებოდა და საზოგადოებისათვის ცნობილი იყო, რომ ინგლისის დედოფალ ელისაბედს უნდა შეხვედროდა. ქართველ ტამპლიერთა ორდენის ოფიცილური რეგისტრაცია უშუალოდ საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის - მიხეილ სააკაშვილის - პირადი დაინტერესებით შესდგა. „ორდენის“ ოფისი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სივრცეში დაკანონდა. „ორდენის“ წევრები მათივე ოფიციალური წსდებით, „ღირსეულ დავითიანებად“ გამოცხადდნენ, ხოლო ორდენის მიზანდასახულებად მათ მიერ საქართველოს საპატრიარქო და სამეფო ტახტების პატრონობა გამოცხადდა...

**— თქვენი საუბრიდან იქმნება შთაბეჭდილება რომ ქართველ ტამპლიერთა ორდენის კურთხევა საქართვლოს სამეფო ტახტის აღდგენის იდეასთან არის როგორღაც დაკავშირებული?!**

— დიახ. ამ ორი წლის წინ შესაძლებლობა მომეცა „ჰელსინკის კავშირის“ ოფიციალური ჟურნალის — „მემატიანის“ — გზით მიმეგნო ზვიად გამსახურდიას მიერ დაფუძნებული პოლიტიკური გაერთიანებისათვის, რომელიც „მრგვალი მაგიდა- თავისუფალი საქართველოს“ შემადგენლობაში შედიოდა. ეს ჩემთვის უცნობი გაერთიანება გახლდათ „საქართველოს სამეფო ლიგა“, რომლის ამოცანად მის ოფიციალურ, სახელმწიფობრივად დარეგისტრირებულ წესდებაში განსაზღვრული აღმოჩნდა საქართველოს სამეფო ტახტის აღდგენა, ამასთან პირველი მუხლითვე განსაზღვრული და ხაზგასმული ფორმულირებით: **„საქართველოს სამეფო ტახტის აღდგენა... ქართული იდეით“.**

ჩემი შთაბეჭდილებით ქართველ ტამპლიერთა ორდენის წესდება ზვიად გამსახურდიას დაწერილი „საქართველოს სამეფო ლიგის“ წესდების გადაკეთებული ვარიანტია.

**— საქართველოს ეროვნული მოძრაობა, თქვენი მსჯელობით, საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის აღდგინებისაკენ მიემართებოდა?**

— 90-იანი წლებიდან საქართველოში ორი ტიპის მონარქისტული მოძრაობა გამოიკვეთა. როგორც აღმოჩნდა, ერთი, ეს გახლდათ არაქართული, სიონისტურ- მონარქისტული მოძრაობა, რომელსაც, ჩვენი, ქართველი ხალხის გონებისაგან წარმოუდგენლად, კარგა ხანია, რაც დასაპყრობად, მიზანში საქართველის ისტორიული სამეფო ტახტი აქვს ამოღებული. 1990 წელს დაიბეჭდა ერთ-ერთი მეცნიერის გამოკვლევა საქართველოს დროშებზე, სადაც საქართველოს ისტორიული დროშა, რომელსაც „გორგასლიან-დავითიანი“ ეწოდება, ქართულ-ებრაულ დროშად არის გამოცხადებული. ამ ვერსიის თანახმად, ქართული ისტორიული დროშის სახელწოდებაში: „გორგასლიან-დავითიანში“ სიტყვა „დავითიანი“ აზრობრივად გულისხმობს არა საქართველოს მეფეს, არამედ ებრაელთა მეფეს.



არა საქართველოს დიდ დავითს, არამედ ებრაელთა დიდ დავითს, არა დროშას „დავით აღმაშენებლისეულს“, არამედ ებრაელთა მეფის „დავით წინასწარმეტყველისეულს“. ქართული ხალხური გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, ეს ისეთი „ყურით მოთრეული“ სისულელეა, რომ შეუძლებელია, ქართველი ადამიანის ცნობიერებაში ზეწოლისა და დაკვეთის გარეშე გაჩნდეს. დავით აღმაშენებლის ორი წერილია შემორჩენილი და არსად ის თავის თავს არ მოიხსენიებს, როგორც „დავითიანს“. მით უმეტეს, დავით აღმაშენებელი ისადაგებდა ამ ტიტულს, ხომ უნდა გამოჩენილიყო ეს მის საგალობელში, რომელშიც მთელი მისი სულიერი კრედოა წარმოდგენილი? გარდა ამისა, არანაირი საჭიროება იმისა, რომ ჩვენ, ქართველმა ერმა, ჩვენი თავი დავით წინასწარმეტყველისა და დავით აღმაშენებლის, ერთდროულად ამ ორი დავითის მოდგმად და თანაბარი მნიშვნელობის შთამომავლებად გამოვაცხადოთ, არ არსებობს. მაგრამ სახელმწიფო იდეოლოგიის ზეწოლით, იქმნება და იწერება დავით აღმაშენებლისა და დავით მეფსალმუნის ერთიანი ახალი ხატი. ჯერ კიდევ 2007 წელს გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში“ დაიბეჭდა ინტერვიუ ჩემთვის უსაყვარლეს მოძღვართან, მამა აკაკი მელიქიძესთან. მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ის, რაც მამა აკაკის ინტერვიუშია გადმოცემული, ეს არის ქართული ეკლესიის მსოფლმხედველობაზე თავდასხმა და ძალადობა. იმის გამო რომ ქართველი მეფეები ბაგრატიონთა დინასტიისა „დავითიანებად“ იწოდებიან, დაუშვებელია დღეს ისინი გამოვაცხადოთ ხორციელ შთამომავლებად დავით წინასწარმეტყველისად, რადგან დღეისათვის ქართულ მეცნიერებაში ეს ახსნილია. ხოლო თუ მაინცადამაინც შევეცდებით, დავემორჩილოთ, დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებას, რომელსაც ისრაელიანთა მაამებლობის გარდა აღარაფერი აღარ სურს, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მაამებლობით ხელს ვუწყობთ არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის გასხვისებას, არამედ ვახდენთ ქართველი ერის დიადი მოწამებრივი ისტორიისა და ქართველი ერის ეროვნული ვინაობის გასხვისებასა და გასაჩუქრებასაც. ამასთანავე ჩვენ ვეწევით საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის გადალოცვას დღევანდელი ებრაელებისათვის, იმ სიონისტური მოძრაობის, რომელსაც პრეტენზია აქვს მსოფლიო მმართველობისა და მსოფლიოზე ბატონობის

**— ასეთი პრეტენზია საქართველოს სამეფო ტახტზე ვინმეს გამოუთქვამს?**

— ჩემთვის ცნობილია, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს, როცა რელიგიური და სამეფო ძალაუფლების შესახებ არანაირი კვლევა არ არსებობდა, ებრაელები ესპანეთში გადახვეწილ ბაგრატიონებთან ჩავიდნენ და როგორც წინასწარმეტყველი დავითის შთამომავლებს, ისრაელის სამეფო ტახტი შესთავაზეს. მადლობა ღმერთს, რომ ესპანეთში გადახვეწილი ბაგრატიონი გონიერი აღმოჩნდა და ებრაელთაგან მიგზავნილი მაცთუნებელი მოციქული უარით გაისტუმრა - მე საქართველოს მეფე ვარ და არა ისრაელისო.



ნელი თორდია
571 35 36 88
(გაგრძელება იქნება)

---

**მინაწერი: დღეს საზოგადოება იმდენად გაღიზიანებულია ბატონ ლევან ჩაჩუას გამოსვლით, რომლითაც დავით აღმაშენებელი ებრაული წარმომავლობისად არის გამოცხადებული, რომ უფლება არა გვაქვს, არ გამოვეხმაუროთ ამგვარ გაუგებრობას. ლევან ჩაჩუას განცხადება იმ ეკლესიური პოზიციების გაგრძელებაა, რომელიც ჩვენ ვამხილეთ „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან ჯერ კიდევ 2014-2015 წლების დეკემბერ-იანვრის ნომრებში. შემდეგი ნომრისთვის კი საზოგადოებას უსათუოდ ვაუწყებთ ბატონი ლევან ჩაჩუას განცხადების მიზანდასახულებაზე დღევანდელი პროცესებისა და ჩვენს მიერ გამოქვეყნებული გამოკვლევის კონტექსტში.**

დენიზა სუმბაძე

## გიორგი თევზაძე:
# უდანაშაულო ადამიანის დამნაშავედ გამოცხადებაზე დიდი დანაშაული არ არსებობს!



***„საერთო გაზეთის“ დღევანდელი ნომრის სტუმარია არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოცუზრუნველყოფის“ თავმჯდომარე, ადვოკატი გიორგი თევზაძე.***

– ძალზე აღმაშფოთებელია ის საუბრები, რასაც ე.წ. „ციანიდის“ საქმესთან და საპატრიარქოსთან მიმართებაში ვისმენთ.

მე სრულად ვეთანხმები სახალხო დამცველის პოზიციას, როცა ის ამბობს, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარე არათანაბარ პირობებში არ უნდა იყოს, ბრალდება თავისუფლად საუბრობს, დაცვის მხარეს კი ეკრძალება, რადგან გაუთქმელობის დოკუმენტზე აქვს ხელი მოწერილი, რაც საზოგადოებაში კითხვებს აჩენს.


გიორგი სანაია

იურისტებს პრაქტიკაში არაერთი შემთხვევა გვქონია, როცა ერთი პირი დასახელებულა დამნაშავედ, მაგრამ მერე აღმოჩენილა, რომ იგი უდანაშაულო იყო და სულ სხვამ ჩაიდინა ეს დანაშაული.

ერთ მაგალითს მოგიყვანთ, რომელთანაც უშუალოდ მქონდა შეხება, მით უმეტეს, რომ რეზონანსულ, გახმაურებულ დანაშაულს ეხება. 2001 წლის ივლისში, როდესაც ჟურნალისტი გიორგი სანაია მოკლეს, რაც მართლაც დიდი ტრაგედია იყო, თავიდან დავით გელაშვილი დააკავეს, რომელიც სრულიად უდანაშაულო აღმოჩნდა. მის ინტერესებს მე ვიცავდი, თანაც უსასყიდლოდ. პროკურატურამ ვერ შეძლო მისთვის მკვლელობაში წაეყენებინა ბრალი, რადგან გამოძიების პოზიციას კონტრარგუმენტებს ვახვედრებდი. აქედან გამომდინარე იყო, რომ ვერ შეძლეს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის დადანაშაულება, თორემ მარტო ზოგადი საუბრები კი არ იყო, მისი მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ, მაშინდელმა შს მინისტრმა კახა თარგამაძემ პრესკონფერენცია ჩაატარა, რომ დიდი საქმე გახსნეს, ფოტორობოტით აღმოაჩინეს დამნაშავე და ეს დავით გელაშვილი იყო. შემდეგ მთავრობის სხდომაზე გამოვიდა მაშინდელი გენპროკურორი გია მეფარიშვილი, რომელსაც დიდ პატივს ვცემ, როგორც პროფესიონალს, მაგრამ მან უდანაშაულობის პრეცუმფციასთან შეუსაბამო განცხადება გააკეთა. თურმე №5 საპყრობილეში (მაშინდელი საგამოძიებო იზოლატორი) დაკავებული ჰყავდათ მკვლელობაში ბრალდებული, როცა ამ საქმესთან დაკავშირებით, მარტო ზოგადი საუბრები მიდიოდა და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს სულ სხვა საქმეზე, სხვა კატეგორიის დანაშაულთან დაკავშირებით ჰქონდა ბრალი წაყენებული. ისიც უნდა ითქვას, რომ გელაშვილის დაკავება ძალიან საეჭვო ვითარებაში მოხდა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ, როცა პროკურატურას ვკითხე, რის საფუძველზე დააკავეს გელაშვილი, მან ამ მკვლელობის შემდეგ თავი გადაიპარსაო. არადა „ეჭვმიტანილის“ შვილს საბავშვო ბაღში რაღაც მწერები გადაედო და მამამაც გადაიპარსა თავი, რომ არ გადასდებოდა. შეიძლება ამისთვის ადამიანი დააკავო და მძიმე დანაშაულში დასდო ბრალი? უბრალოდ მაშინ განტევების ვაცს ეძებდნენ, მთავარი იყო საქმე „ცხელ კვალზე“ გახსნილიყო. მე საქმეში მოგვიანებით ჩავერთე, როცა ფონი უკვე შექმნილი იყო, მაგრამ მაინც შევძელი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობის დამტკიცება. მადლობა მინდა ვუთხრა მასმედიას რომელიც მაშინ გვერდით დამიდგა, მით უმეტეს, რომ მანმადე ძალზე აჟიტირებულნი იყვნენ. ჟურნალისტებს ვკითხე, რომელი გინდათ, დაისაჯოს ადამიანი, რომელსაც მხოლოდ ბრალდებულის სახელი ერქმევა და მერე აღმოჩნდეს რომ უდანაშაულოა, თუ ნამდვილი დამნაშავე ვიპოვოთ და ის დაისაჯოს, რაც ყველას ინტერესში უნდა შედიოდეს. ჟურნალისტებმა დამიდასტურეს, რომ მათ ნამდვილი დამნაშავის დაჭერა უნდოდათ, მაშინ მაცალეთ მუშაობა, დამიდექით გვერდით, ერთად ვიბრძოლოთ-თქო. მედიასაშუალებებმა მართლაც შეწყვიტეს გელაშვილისთვის ლაფის შესხმა, არადა მანმადე ათას ჭორს უგონებდნენ. აღმოჩნდა, რომ გელაშვილი უდანაშაულო იყო, მოგვიანებით დაიჭირეს ხურცილავა და გაასამართლეს. მე მის დამნაშავეობაზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ ხურცილავას მიცემულმა ჩვენებებმა მარტო მე კი არა, ყველა გააკვირვა, მხოლოდ კვალიფიციურ იურისტებს არ ვგულისხმობ, იურიდიული ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტიც კი მიხვდებოდა შეუსაბამობებს.


გიორგი გვიჩიანი

იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი საღად უნდა განვსაჯოთ, ნუ დავარღვევთ უდანაშაულობის პრეზუმფციას, მაგრამ ნურც პროკურატურას შევუშლით ხელს, რომ რეალურად და ობიექტურად გამოიძიოს, რადგან საქმე ძალიან მნიშვნელოვან თემას ეხება. აუცილებლად უნდა გაირკვეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოწამვლის მცდელობის ფაქტს, თუ ჰქონდა, დამნაშავე პირი, ვინც არ უნდა იყოს იგი, დაისაჯოს. თუკი დადასტურდა, რომ დეკანოზის დაკავება არის უსაფუძვლო, არასწორი ინფორმაციის საფუძველზე მოხდა და ა.შ., რა თქმა უნდა ტყუილად არავინ უნდა ჩასვან ციხეში. აი, ეს პოზიცია გვაქვს უფლებადამცველების იმ ნაწილს, რომელსაც მე წარმოვადგენ, ჩვენ საჯარო განცხადებებისგან თავს ვიკავებთ, რადგან რეალურად არ ვიცნობთ ამ საკითხს, დეკანოზი მამალაძე ჯერ არ ალაპარაკებულა. მოვუსმინოთ მას, დუმილის უფლებას იმიტომ იყენებს, რომ იგი სასულიერო პირია და კურთხევა სჭირდება. მისცეს მას შესაბამისი კურთხევა საპატრიარქომ, ხოლო პროკურატურამ იმის საშუალება, რომ ისაუბროს და საზოგადოებამ ამის შემდეგ შეაფასოს, რეალური მტკიცებულებებიდან გამომდინარე იმჯელოს და გააკეთოს დაკვნა. სხვათა შორის, სანაიას მკვლელობის დროს, მე, როგორც გელაშვილის ადვოკატმა ხელი არ მოვაწერე დოკუმენტს ფაქტის გაუხმაურებლობასთან დაკავშირებით. როცა საზოგადოებისთვის მაღალი ინტერესის მქონე საქმეა, გამოძიება ყოველთვის აყენებს გაუხმაურებლობის საკითხს, მაგრამ ადვოკატს შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც თვითონ ჩათვლის საჭიროდ. მე უარი ვთქვი, როგორ მოვაწერო ხელი გაუთქმელობას, როცა ამდენ რაღაცას აბრალებთ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს. როცა ვხედავდი პროკურატურა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე განცხადებებს აკეთებდა, გენპროკურორი მთავრობის სხდომაზე გამოდიოდა, შს მინისტრი პრესკონფერენციას ატარებდა, დაცვის მხარე რატომ უნდა გავჩუმებულიყავი? ცალ კარში თამაში არ უნდა მიდიოდეს. ამიტომ არ მოვაწერე ხელი, ვუთხარი კიდეც, თუ გაუხმაურებლობაა, მაშინ ყველა გავჩერდეთ და დავიწყოთ რეალური მტკიცებულებების შეგროვება და არა ისე, რომ მარტო თქვენ ისაუბროთ და საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოთ-თქო. შემდგომ ეს იყო მიზეზი, რომ ველარ შემომედავნენ გამოძიება და პროკურატურა. ყოველთვის გახსნილი ვიყავი მედიასთან, იმ პოზიციებს ვაფიქსირებდი, რაც სწორად მიმაჩნდა და გამოძიებისთვის აუცილებელი იყო. დადებითი შედეგიც ძალიან მალე დადგა. კარგი იქნება, თუ მოვლენებს წინ არ გავასწრებთ და ამდენი ტყუილმართლით არ გადავღლით საზოგადოებას. ეს ისტორია იმიტომ გავიხსენე, რომ დღევანდელ შემთხვევაშიც იგივე, ოღონდ გაცილებით სათუთ თემასთან გვაქვს საქმე, ემოციურ დონეზე არ უნდა მივუდგეთ, თავი შევიკავოთ ნაადრევი დასკვნებისგან მშვიდად განვსაჯოთ, ერთის მხრივ არ დავარღვიოთ უდანაშაულობის პრეზუმფცია და მეორეს მხრივ, ხელი არ შევუშალოთ გამოძიებას რეალობის დადგენაში.



**მანანა სუხიშვილი**

7 გვ.

59… 51 28 24

# ძლიერი რეგიონები




### შეხვედრა „ბიოკომ ტექნოლოგის“ წარმომადგენლებთან

აბაშის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და ბელარუსის რესპუბლიკის ინოვაციური კომპანიის „ბიოკომ ტექნოლოგის“ წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრა შედგა. შეხვედრაში სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი ომარ კაჭარავა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის უფროსი თენგიზ კალანდაძე და პროფესორი ლევან თორთლაძე მონაწილეობდნენ.

„ბიოკომ ტექნოლოგის“ წარმომადგენლებმა თავიანთ გამოცდილებაზე, ახალ ტექნოლოგიებსა და შესაძლებლობებზე ისაუბრეს. საუბარი ასევე შეეხო, სოფლის მეურნეობის კუთხით ქვეყნებს შორის სამომავლო თანამშრომლობას, მათ შორის აბაშის მუნიციპალიტეტში მეცხოველეობის ახალი, ავტომატიზირებულ ფერმის პერსპექტივებზე იმსჯელეს.

შეხვედრის შემდეგ, გამგებელმა მამუკა კვიტაშვილმა სტუმრებს „ანჯელის“ მასივის სავარგულები დაათვალიერებინა.

### დუშეთისთვის დაცული ლანდშაფტის სტატუსის მინიჭების შესახებ

დუშეთში, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებისთვის, კერძოდ, პირაქეთა ხევსურეთის, ფშავისა და გუდამაყრისთვის დაცული ლანდშაფტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა საქართველოს დაცული ტერიტორიების სფეროში მოქმედ ორგანიზაციებთან ერთად განიხილეს ახალი დაცული ტერიტორიის შესაქმნელად საჭირო კანონპროექტის შემუშავების საკითხი და არეალის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ კანონპროექტის შემუშავება, დაცული ლანდშაფტის სტატუსის მინიჭება ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებასა და ტურიზმის განვითარებას; აგრეთვე მიგრაციის პრევენციასა და მხარის სოციალურ-ეკონომიკურ და გარემოსდაცვით განვითარებას.

შეხვედრას ესწრებოდნენ: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი, საკრებულოს თავმჯდომარე გივი ზურაბაშვილი, აგრეთვე ადგილობრივი და უცხოური სააგენტოების წარმომადგენლები.

### გურჯაანში ნარჩენების მართვის თემაზე შეხვედრა გაიმართა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის დიდ დარბაზში მყარი ნარჩენების მართვისა და მისი უტილიზაციის თემაზე, პროექტ „დაასუფთავე საქართველოს“ (Clean up Georgia) ფარგლებში, შეხვედრა გაიმართა, რომელსაც გურჯაანის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მის დაქვემდებარებაში არსებული დასუფთავებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

შეხვედრაზე განიხილეს ნარჩენებთან დაკავშირებით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, ამ სფეროში ევროპული გამოცდილება, რეგიონში საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის პერსპექტივები, საქართველოში ნარჩენების მართვის დაგეგმვასა და ქვეყნის მასშტაბით სტიქიური ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიების ეკოსისტემაზე გავლენის საკითხები.


ხარაგაული

### ხარაგაულის ტურისტული პრიორიტეტები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ და ტურიზმის ცენტრის დირექტორმა, ბერიკა თურმანიძემ „ცაშეკრულას კანიონი“ დაათვალიერეს.

არჩილ მაღრაძე არ გამორიცხავს, რომ მომავალში, ხარაგაულის ხელმძღვანელმა პირებმა ფონდების წინაშე კანიონის მოწესრიგების საკითხი დასვან.

ბერიკა თურმანიძე ამბობს, რომ ტურიზმის ცენტრისთვის, დღესდღეობით, ერთ-ერთი პრიორიტეტია „ცაშეკრულას კანიონის“ მოწესრიგება და მისი ტურისტულ მარშრუტად მოწყობა.

### რუსთავის საბავშვო ბაღებში ენერგოეფექტური სტანდარტები ინერგება

რუსთავის №6 და №40 საბავშვო ბაგა-ბაღებში დასრულდა პროექტის „ქალაქ რუსთავში სამი საბავშვო ბაღის (№6, №40, №41) რეკონსტრუქცია ენერგოეფექტურობის მაღალი სტანდარტის მიღების და ნახშირორჟანგის ემისიების შემცირების მიზნით“ პირველი და მეორე ეტაპებით გათვალისწინებული ენერგოეფექტური რეაბილიტაციის სამუშაოები.

ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა პაატა ხიზანაშვილმა, რუსთავის მერმა დავით ჯიქიამ, მერის მოადგილეებმა ნოდარ შეროზიამ და დავით ლობჟანიძემ რეაბილიტირებული №6 საბავშვო ბაღი დაათვალიერეს. სტუმრები საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მონაწილეობით გამართულ ღონისძიებასაც დაესწრნენ.

პროექტის პირველი ეტაპის ფარგლებში ორივე საბავშვო ბაღში დამონტაჟდა გათბობისა და ცხელი წყლის მომარაგების (მზის კოლექტორებთან კომბინაციაში), მოდინებულ-გამწოვი სავენტილაციო, ახალი ელექტროტექნიკური სისტემები და ენერგოეფექტური ფანჯრები. მეორე ეტაპზე კი, ორივე შენობის კედლები, სახურავი და სარდაფის ჭერი მინერალური ბამბით დაათბუნეს.

პროექტი ევროკავშირისა და რუსთავის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და დაფინანსებით „მდგრადი განვითარებისა და პოლიტიკის ცენტრმა“ **(SDAP)** განახორციელა.

ბაღების სრული ენერგოეფექტური რეკონსტრუქციის შედეგად ნახშირორჟანგის ემისია №6 საბავშვო ბაღში წელიწადში 35.42, ხოლო №40 საბავშვო ბაღში 110.68 ტონით შემცირდება. ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის დაზოგვის მაჩვენებელი №6 საბავშვო ბაღში წელიწადში 188 085, №40 ბაღში კი 575 727 კვტ.სთ იქნება. 808 765 ევროს ღირებულების პროექტს ევროკავშირი 646 527, ხოლო რუსთავის მერია 162 238 ევროთი აფინანსებს.

პროექტით გათვალისწინებული მესამე, №41 საბავშვო ბაღის ენერგოეფექტური რეკონსტრუქცია მიმდინარე წლის ზაფხულში იგეგმება.

2011 წელს, ქალაქი რუსთავი შეუერთდა ევროპის საერთო ხედვას, ხელი მოაწერა „მერების შეთანხმების“ ხელშეკრულებას და იტვირთა ვალდებულება, რომლის თანახმადაც, 2020 წლისთვის ქალაქის ტერიტორიაზე $CO_2$-ის გამოფრქვევა 20 პროცენტით უნდა შემცირდეს.


დუშეთი

### ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების პრიორიტეტული პროექტები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ლაშა გოგიამ, სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან ერთად, დასახლების საერთო კრებები ჩაატარა ინგირის, ოირემეს,

# ძლიერი საქართველოსთვის


ზუგდიდი

ოქტომბერისა და დავითიანის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

მოსახლეობა ძირითად პრიორიტეტებად ასახელებს გზების რეაბილიტაციას, ხიდბოგირების, სანიაღვრეების მოწყობას, გარეგანათების სისტემის დამონტაჟებას, ჭაბურღილების აღდგენას და წყალსატუმბის მოწყობას.

### სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტის რეაბილიტაცია

სენაკის მუნიციპალიტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ, გამგებლის პირველმა მოადგილემ და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

მშვიდობის ქუჩაზე, №163 სახლის მიმდებარედ უხვი ნალექის შედეგად დაზიანდა სანიაღვრე რკინაბეტონის ჯებირი (სიგრძე — 90 მ., სიმაღლე — 2,5 მ., სიგანე — 30 სმ), რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს მომავალში დასრულდება.

შედეგად, გაიზრდება ჩამონადენი წყლის გამტარუნარიანობა, შემცირდება ადგილობრივი მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის საშიშროება.

### შეხვედრები წალენჯიხის ადმინისტრაციულ ერთეულებში

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ფარცვანია შეხვდა ნაკიფუს, ლიას, ჯგალისა და მედანის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობას, რათა ერთად განეხილათ დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის, ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

შეხვედრაზე ისაუბრეს ჭაბურღილების მოწყობაზე, შიდა საუბნო გზის მოწესრიგებაზე, წყალგაყვანილობის სისტემების რეაბილიტაციაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბესიკ ფარცვანიას ინიციატივით, ხელმძღვანელი პირები თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ყოველთვიურად გამართავენ შეხვედრებს მათი პრობლემებისა და მოთხოვნების გასაცნობად.

### ბორჯომში ყვავილების მინისათბური შენდება

ბორჯომის ცენტრალურ (ისტორიულ) პარკში მინისათბურის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. აქ გამოყვანილი ყვავილების ჩითილები პარკის ტერიტორიაზე დაირგვება.

როგორც ადმინისტრაციაში განაცხადეს, პარკს ყოველწლიურად უხდებოდა სეზონური ყვავილების ყიდვა, მინისათბური კი მნიშვნელოვნად შეამცირებს ხარჯებს და ამავე დროს საშუალებას მისცემს პარკს, თავად გამოიყვანოს სასურველი მცენარეები.

მშენებლობის პროცესში პარკის თანამშრომლები მონაწილეობენ.


სენაკი

### 500 000 ლარი გორის გზებისთვის

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას 2017 წელს გზების მოვლა-პატრონობისთვის 500 000 ლარი აქვს გამოყოფილი. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „საგზაო-სამშენებლო სამმართველო @№1“ ახორციელებს.

### გორის მუნიციპალიტეტის სოფლებს ახალი ნაგავმზიდები მოემსახურება

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მუნიციპალური განვითარების ფონდის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებს ორი ერთეული ახალი ნაგავმზიდი მოემსახურება. თანამედროვე ტიპის, „მერსედესის“ ფირმის ახალი კომპაქტორიანი ნაგავმზიდები 20- და 13-ტონიანია.

გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ონიაშვილი ა(ა)იპ კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ნაგავმზიდების სპეციფიკას პირადად გაეცნო.

ამ ეტაპზე კეთილმოწყობის სამსახურს საყოფაცხოვრებო ნარჩენები გორის მუნიციპალიტეტის 43 სოფლიდან გამოაქვს. 800-მდე ურნა სხვადასხვა სოფელშია განაწილებული, უახლოეს პერიოდში სოფლებში კიდევ 100 ურნა დაიდგმება.

ნარჩენების გამოტანა და ნაგავსაყრელები წლების განმავლობაში სოფლებში ერთ-ერთ დიდ პრობლემას წარმოადგენდა. სოფლების უმეტეს ნაწილში ეტაპობრივად დაიდგა ურნები და დაიწყო ნარჩენების გამოტანა.

### შუახევი — სტიქიისგან დაზარალებულებს სარეზერვო ფონდიდან დაეხმარებიან

შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიის სხდომაზე, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე უძღვებოდა, განიხილეს სტიქიის შედეგად დაზარალებული 11 ოჯახის განცხადება ფინანსური დახმარების შესახებ. მუნიციპალიტეტი სტიქიის შდეგად დაზარალებულებს ადგილობრივი სარეზერვო ფონდიდან გაუწევს დახმარებას.


შუახევი

### ზამლეთის თემში ბიბლიოთეკა გაიხსნა

ათწლიანი პაუზის შემდეგ ზამლეთის ადმინისტრაციულ შენობაში სასოფლო ბიბლიოთეკა გაიხსნა. ახალ ბიბლიოთეკას შუახევის კულტურის ცენტრის სარაიონო ბიბლიოთეკის სარეზერვო ფონდიდან 500-მდე კლასგარეშე ლიტერატურა გადაეცა. ასევე დაიდგა კომპიუტერი და უახლოეს მომავალში მიეწოდება ინტერნეტი. ბიბლიოთეკის გახსნას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე მოადგილეებთან, გამგეობის თანამშრომლებთან და ზამლეთის თემის მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად.

შუახევის კულტურის ცენტრი აქტიურად მუშაობს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან სოფლად ბიბლიოთეკის აღდგენაზე. მარტის ბოლომდე დაგეგმილია შუბნის, ოლადაურის, უჩამბის, ბარათაულის ბიბლიოთეკის აღდგენა.

შეგახსენებთ, რომ ზამლეთის ადმინისტრაციულ ცენტრში ბიბლიოთეკა პირველად 80-იან წლებში ამოქმედდა, 2007 წელს კი მუნიციპალიტეტში 43 საჯარო ბიბლიოთეკა გაუქმდა.

### ხიჭაურში ბაგა-ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს

მიმდინარე წლის იანვარში ხიჭაურის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიასთან ახლოს, პირველად ამ სოფელში, საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო. პროექტის ფარგლებში აშენდება ორსართულიანი შენობა, მოეწყობა საძინებლები, გასართობი ოთახები, სველი წერტილები, სამზარეულო, დამონტაჟდება ცენტრალური გათბობის თანამედროვე სისტემა და შენობა ადაპტირებული იქნება შშმ პირთათვის.

ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხიჭაურის ბაგა-ბაღი ექსპლუატაციაში 2017 წლის 1 ოქტომბერს შევა და 50-ზე მეტ აღსაზრდელს მოემსახურება, დასაქმდება 10-ზე მეტი ადგილობრივი. პროექტის ფარგლებში კეთილმოეწყობა ეზო.

სამუშაოებზე, რომლებსაც ტენდერში გამარჯვებული შპს „ლადა“ ასრულებს, 219 870 ლარი დაიხარჯება.

მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე ხულოს, შუახევის და ქედის მაჟორიტარ დეპუტატ ანზორ ბოლქვაძესთან და ხელმძღვანელ პირებთან ერთად გაეცნო.

# ბუბა ხოტივარი:
# მაშინ, მეოცე საუკუნეში...

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

სხვათაშორის, სწორედ იმ დროს (1983) რეზომ უეცრად გაგვანდო, მალე სცენარებსა და მასალებს მოსკოვში დასამტკიცებლად აღარ წავიღებთ, ისეთი დრო მოდის, ყველაფერს ჩვენ თვითონ გადავწყვეტთ საქართველოშიო. უეცრად გაშტერებულ ჩვენს სახეებს ყურადღება არ მიაქცია და დაამატა: ცოტა ხანში დამოუკიდებელი სახელმწიფო გავხდებითო.

გაუთავებელმა დაძაბულობამ გადაღალა რეზო და ბოდვები დაეწყო-მეთქი, გამიელვა. რეზომ წაიკითხა ჩემს თვალებში რაც გავიფიქრე, არ გაკვირვებია, გაიღიმა და დაადასტურა თავისი ნათქვამი: ჰო, ჰო, ასე იქნება სულ მალე და ყველასათვის მოულოდნელად! სულ მალე და მოულოდნელად! არ გაგიკვირდეთ, ეს საქმე მზადდება ჭკვიანი


ლალი ხაბაზიშვილი („სერენადა“)

და პატრიოტი ხალხის მიერ. დიახ, ფარული პატრიოტი ხალხის მიერ, ხმახმაღლა რომ არ სპეკულანტობენ სამშობლოს სიყვარულით. ნოდარ დუმბაძემაც კერძო საუბარში თქვა ჩურჩულით, ნახავთ რა სიურპრიზები იქნება მალე, სსრკ დაიშლება და თავისუფლები ვიქნებითო. შემდგომში მივხვდი მხოლოდ თუ საიდან ქონდათ ასეთი ინფორმაცია. მაშინ კი ეს სიტყვები სიგიჟედ ან პროვოკაციად აღიქმებოდა...

1985 წელს კინოსტუდიის რეჟისორებსა და რედაქტორებს გვეწვია დევი სტურუა, ერთ დროს მკაცრზემკაცრი პარტიული ფუნქციონერი და პირდაპირ გაგვიცხადა: საბჭოთა კავშირის დემოკრატიზაცია და დეცენტრალიზაცია კრემლმა უკვე გადაწყვიტა, ამას აუცილებლად მისი დაშლა და მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოსათვის დამოუკიდებელი სტატუსის მინიჭება მოყვება, რაც ასევე გადაწვეტილია - მოემზადეთ თავისუფლებისთვისო. ბევრს ეს სიტყვებიც ასევე მორიგ დაუჯერებელ სისულელედ ეჩვენა. თუმცა უკვე იგრძნობოდა, რომ დიდი ხანია მიმდინდრეობს რაღაც ფარული პროცესი, რომელიც გამოაშკარავდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მიზანს მიაღწევს. ვიგრძენი და მივხვდი, რომ ხდება აუხდენელი ოცნების ახდენა - სულ მალე საქართველო დამოუკიდებელი გახდება...

* * *

დავუბრუნდეთ 1969-1970 წლებს. დიპლომზე ვმუშაობდი. ვალიკო სულაკაურმა, ალპიური იდეების ამ უშრეტმა წყარომ, სცენარი შემომთავაზა მოხევეთა შესახებ. ამ ამბავმა ისე გამიტაცა - აღარაფერი მახსოვდა. ბევრი არც მიფიქრია, ჩემს მეგობარს, გოგი ბარნაველს შევთავაზე ფილმზე ოპერატორად მუშაობა, ავიღეთ კამერა, ფერადი ფირი (ეს ყველაფერი მაშინ უპრობლემოდ იშოვებოდა) და წავედით ყაზბეგში. გადავიღეთ ყველაფერი, რაც საინტერესოდ მოგვეჩვენა - ვცდილობდით პოეტური კუთხით დაგვენახა მოხევეთა რთული ყოველდღიურობა. მუშაობის პროცესში ოპერატორი თენგიზ მოდებაძე შემოგვემატა - გოგის ბარნაველს გამოცდები ჰქონდა ჩასაბარებელი, ისიც ВГИК-ს ამთავრებდა. გოგი და თენგიზი, საოცარი ენთუზიასტები, ისეთ კლდეღრეში მიძვრებოდნენ, სქელი ყინულით დაფარულ ისეთ ადგილებს გადიოდნენ და მეც მაიძულებდნენ მათთან ერთად ფოფხვას მძიმე აპარატურით ხელში - სისხლი მეყინება რომ ვიხსენებ. ასეთ რისკზე 23 წლისა თუ წახვალ. გადავიღეთ ზამთარში თივების მთის კენწეროდან დაცურების ეპიზოდები, ზაფხულში მიუვალ მთებში თიბვა - თენგიზმა აიტეხა, ძლიერ ქარში და მზეში ლამაზი იქნებაო და დიდი ხანი ველოდებოდით ამ ძლიერ ქარსა და მზეს ერთდროულად - მართლაც ძალიან ლამაზი გამოვიდა. დღეს მადლობა მინდა გადავუხადო ორივეს ერთგულებისთვის, თავდადებისა და პროფესიონალიზმისთვის. „დარიალის ჩანახატებში“ თუ რამე კარგია, მათი უდიდესი დამსახურებაც არის. ფილმი ორ თვეში უნდა გადაგვეღო (სტუდიის გეგმით). ვიღებდით კი ერთი წელი - გვინდოდა ხევი და მოხევეები წელიწადის ოთხივე დროს გადაგვეღო. ამას ვერ მოვახერხებდით და ფილმს დროზე ადრე დაგვამთავრებინებდნენ, ანუ არ გადაგვაღებინებდნენ ფილმის ძირითად ეპიზოდებს, რომ არა... დიახ, რეზო ჩხეიძე. მთავარია ის გადაიღო, რაც გინდა, მითხრა მან, მთავარია მაღალ ხარისხს მიაღწიო. დანარჩენს (ანუ ჩინოვნიკებს) მე მოვუვლიო... აი, მაშინ, პირველად, პირადად ჩემ თავზე გამოვცადე რას ნიშნავდა რეზოს დახმარება. მის გარეშე ფილმს დაამახინჯებდნენ. რეზომ მანამდე ყურადღებით ნახა, საფუძვლიანად გამირჩია და მთელს სამხატვრო საბჭოს გაარჩევინა გადაღებული მასალა, გამომკითხა, რის გადაღებას ვაპირებდი, დამაწერინა დამატებითი ეპიზოდების სარეჟისორო სცენარი და როცა დარწმუნდა, რომ მზად ვიყავი ფილმის გასაგრძელებლად - ტანკივით დაეჯახა ხელმძღვანელობას: რატომ ღუპავთ ფილმს, ის ხომ კარგი გამოდის! ახალგაზრდებს ნუ აბრკოლებთ! ჩემს თავზე ვიღებ გეგმის ჩავარდნას! რეზოს მიწოლას ვერ გაუძლეს და ბრაზმორეულები წავიდნენ დათმობაზე: ნება დამრთეს შემოდგომის შემოდგომაზე გადაღებისა და ზამთრისა - ზამთარში.

* * *


ზოზო ბაქრაძე („სერენადა“)

1969 წელს ქართლოსმა მოსკოვში „სერენადა“ ჩამოიტანა. ფილმი ტელევიზიის ცენზორებს უნდა ენახათ. ნერვიულობისგან საფეთქლებში მიჭერდა. საპროექციო დარბაზში დავინახე კარლო ღლონტი - მას ჩამოტანილი ქონდა ფილმი „უსახელო უფლისციხელი“ გურამ რჩეულიშვილის მიხედვით. კარლო, ეს წარმოსადეგი, ვაჟკაცური გარეგნობის კაცი იდგა, როგორც ჩვენ მათ ვეძახდით, ჯალათებში, მაგრამ ნერვიულობა სულ არ ეტყობოდა. გულში გავიფიქრე, რა დღეში ვართ, მართლაც კოლონია, რატომ უნდა ვაბაროთ ჩვენი ფილმები ვიღაც გადამთიელებს-მეთქი. კარლო თითქოს მიმიხვდაო:

- რას იზამ, უნდა მოვითმინოთ, იქნებ ჩვენი შვილიშვილები მოესწრონ ამათ დანგრევას. ხომ ხედავ ნახევარი მსოფლიო ჩვენს დღეშია.

მართლაც, მოსკოვში ფილმების ჩასაბარებლად ჩამოდიოდნენ უკრაინელები, ბალტიისპირელები, კავკასიელები, შუააზიელები... ვინ არა! იდგნენ დერეფნებში და ნერვიულობდნენ. ერთმა აზერბაიჯანელმა რეჟისორმა უთხრა რუს რეჟისორს:

- თაგდა თოლქო მენია ფაიმიოშ, ქაგდა ვას ქითაი ზავაიუეთ ი თი ფაედეშ ვ ფექინ სდავათ სვოი ქართინუ ნა ქითაისქომ იაზიქე...

თუმცა არც რუსები იყვნენ ჩვენზე უკეთეს დღეში. აქვე მინდა ვთქვა, რომ მიუხედავად საზიზღარი სისტემისა, თვით ის ხალხი, ვინც განასახიერებდა ამ სისტემას - ცენზორები, ხშირად არ იყვნენ (ყოველ შემთხვევაში უკვე ჩემს დროს) ისეთი სასტიკნი, როგორიც თვით სისტემა. ამაში იმ დღესაც დავრწმუნდი: ფილმები კარგად მიიღეს და გზაც დაულოცეს. „უფლისციხელისა“ მეშინოდა, არ დააბრალონ საქართველოს ისტორიისადმი გაზვიადებული ყურადღება, არ ამოიკითხონ რელიგიის პატივისცემის ნიშნები, არ შეედაონ თემის არათანამედროვეობაზე და არასოციალისტურობაზე-მეთქი. არა, არაფერი ამდაგვარი ამჯერად არ მომხდარა. ყველაფერს მიხვდნენ, მაგრამ გადაყლაპეს. ეტყობა იმიტომ, რომ ფილმის ხარისხი მაღალი იყო. იშვიათად, მაგრამ ასეც ხდებოდა. განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ფილმი ალეგორიული ხასიათისა იყო. ამიტომ ილტვოდა თითქმის მთელი ქართული საბჭოთა კინო იგავისკენ - იგავი ეხმარებოდა ავტორს, მართალია არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ეთქვა თავისი სათქმელი, დაფარულად გამოეხატა ის, რასაც ვერ იტყოდა მოურიდებლად...

* * *

„სერენედას“ დიდი წარმატება ხვდა წილად. მაყურებლებიც და კრიტიკოსებიც ერთხმად იწონებდნენ ფილმს. ფილმით უცხოელებიც დაინტერესდნენ: 1969 წელს მოსკოვში ტარდებოდა მორიგი საერთაშორისო კინოფესტივალი - ამოსუნთქვის ერთადერთი საშუალება იმ ყოველი მხრიდან ჩაკეტილ-ჩაყრუებულ სახელმწიფოში. ამ ამოსუნთქვასაც მკაცრად აკონტროლებდნენ უშიშროების ორგანოები, თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ სოციალისტური ყაზარმის უმანკოებას. უცხო ელემენტებისგან ბოლშევიკური პრინციპულობით გვიცავდნენ და არაფრით არ გვამყარებინებდნენ არანაირ კავშირს გადაგვარებულ კაპიტალისტებთან. მაგრამ ჩვენმა მეგობრებმა სახკინოსა და კინოკავშირიდან მაინც გარისკეს, მიიწვიეს თავისთან მეტად სერიოზული უცხოელები (რეჟისორები, პროდუსერები, კრიტიკოსები „მონდიდან“, „ფიგაროდან“, „პოზიტივიდან“, დაუდგენელი იაპონელები, ამერიკელები და სხვ.) და, მიუხედავად იმისა, რომ „სერენადა“ არ იყო ჩასმული ფესტივალის არც ერთ პროგრამაში, მაინც უჩვენეს ფილმი. წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. ფილმის დაწყებიდანვე (იმ კადრიდან, როცა სქელმა ზოზომ ცერა თითით ააგდო ბორჯომის ხუფი და ლალის გაეპრანჭა) ატყდა სიცილ-ხარხარი, ტაში და სეანსის დამთავრებამდე თითქმის აღარც შეწყვეტილა...


მარსელ კარნე

შემდეგ სტუმრები გარს შემოეხვიენ ქართლოსს და აავსეს ათასნაირი კომპლიმენტითა და შეკითხვით: ვინა ხარ, ასეთი ფილმი სად შექმენიო. ქართლოსი არ დაბნეულა, წყნარად და ღირსეულად პასუხობდა. ამ დროს დარბაზში კინომექანიკოსი შემოვიდა და მორიდებით თქვა, მივდივარ, ჯიხურს ვკეტავ და ფილმი ჩაიბარეთო. ქართლოსს ვიღაც პატარა კაცმა დაასწრო, დასტაცა ფილმის სამივე კოლოფს ხელი, ჩაიხუტა და რუსულ-ფრანგულ-ინგლისურად თქვა:

- ეს ჩემი ფილმია, ჩემი სული და გულია, მე რაც მინდა, მე რაც მტკივა - ამ ფილმშია ჩადებული! არ წამართვათ, დამიტოვეთ და ერთად მოვიაროთ ამ ფილმით მთელი მსოფლიო!

ეს კაცი აღმოჩნდა... მარსელ კარნე, დიდი ფრანგი რეჟისორი, კინოს კანონიზირებული კლასიკოსი, უბერებელი „ქანდარის შვილების“, „ტერეზა რაკენის“, „ნისლების სანაპიროს“, „ღამის სტუმრებისა“ და სხვა შედევრის ავტორი. ქართლოსმა, რა თქმა უნდა, იქვე სიხარულით აჩუქა მას ფილმის ასლი, კარნემ კი უთხრა:

- მე კი შენ ამას გაჩუქებ, - და მიიდო ქართლოსის ხელი გულზე, - აწი ეს გული შენ გეკუთვნის, ჩემო შვილო, ჩემო მეგობარო. შენმა ფილმმა ახალგაზრდობა დამიბრუნა, მზე დაანათა ამ გულს...

აი ახლა კი მართლა დაიბნა ქართლოსი! უხერხულობისგან დამუნჯდა და არ იცოდა, სად წასულიყო. გერმანელმა პროდუსერმა, თუ არ ვცდები, შნიტცერმა, ნაწყენი ხუმრობით განაცხადა:

- ამ ფრანგებმა ყველაფერი წაგვართვეს საწყალ გერმანელებს, ახლა რუსებსაც გვართმევენ ხელიდან!

სტუმრებმა გაიცინეს, ქართველებმა კი ცხარედ დავუწყეთ ყველას ახსნა, რომ ჩვენ რუსები არა ვართ, ვართ ესა და ეს (ამაში პოლონელები ბეატა ტიშკევიჩი და ეჟი კავალეროვიჩი გვეხმარებოდნენ), მაგრამ მალე გაკვირვებით აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენს გარდა ეს საკითხი არავის აღელვებდა - ყველას მხოლოდ ხელოვნებაზე უნდოდა ლაპარაკი და სულ არ ენაღვლებოდა შენ ვინ იყავი წარმოშობით. მათთვის მთავარი იყო რას აკეთებ შენ, რა ინტელექტითა და რამდენად ნიჭიერად (ამაზე მამაჩემმა თქვა: ეგენი სხვის მიმართ არიან ასეთი ინტერნაციონალისტები, აბა მაგათ საფრანგეთს ან ამერიკას შეეხე, - ნახავ როგორც გეცემიან ყელშიო)...

(გაგრძელება იქნება)

# შავი მზე, შავი ვარსკვლავები და შავი არისტოკრატია



გლობალურ მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების მკვლევარები დღემდე მსჯელობენ „ შავი არისტოკრატიის“ როლზე ევროპაში და მიდიან დასკვნამდე, რომ გლობალურ მსოფლიო პროცესებს ლონდონიდან მიზანმიმართულად ხელმძღვანელობს „ვენეციის შავი არისტოკრატიის“ ორდენი. მეცნიერი და მწერალი იური ვორობიევსკი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მონოგრაფიაში „შავი მზე და მზე სიმართლისა“ წერს - „ასტროფიზიკამ კოსმოსში არცთუ დიდი ხნის წინ აღმოაჩინა „შავი ვარსკვლავები“ მათზე წარმოდგენა შეიძლება შევიქმნათ იმ კოლოსალური ზე-



მეფე ჩარლზ I

გავლენის მიხედვით, რომელსაც ისინი ახდენენ ძალზედ დაშორებულ ობიექტებზეც კი. უცებ, რაღაც გაუგებარი მიზეზით იცვლება ამ სხეულთა ტრაექტორიები და მაშინ ვხვდებით, რომ მათ იზიდავთ შავი ვარსკვლავები. მათი მოცულობა იმდენად დიდია, რომ გრავიტაციის ძალა სინათლეს არ უშვებს ამ სისტემის გარეთ ამიტომაც არის ის შავი. მსოფლიო პოლიტიკაშიც არსებობს შავი მზე. რატომ იცვლებიან, ერთი შეხედვით, ადვილად ცნობადი ადამიანური ქცევების ტრაექტორიები? ზოგჯერ იმდენად კარდინალურად, რომ გვაქვს შესაძლებლობა ვიმსჯელოთ ზეგავლენის უხილავი ცენტრის არსებობაზე. აქედან მომდინარეობს ყველა „პარადოქსი“ და მოულოდნელი შედეგი. როგორია „ძალის“ უმთავრესი „პოლუსი“? საიდან მომდინარეობს ავისმომასწავებელი „დინებები“ - ნიუ იორკი, ლონდონი? იმ დროიდან მოყოლებული რაც ამერიკის კოლონიები ბრიტანეთის ზეგავლენისგან დამოუკიდებელნი გახდნენ, მუდმივად იკრებდნენ ძალებს. ეს ძალზედ შესამჩნევი გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბრიტანეთის პრემიერს უინსტონ ჩერჩილს ერთხელ წამოსცდა და თავს უფლება მისცა პრეზიდენტი ტრუმენისთვის თავისი „პატარა კაცუნა“ ეწოდებინა. ოო, რამდენი ირონია იყო ჩაქსოვილი ამ ფრაზაში! ამერიკული „დამოუკიდებლობის“ როგორი დაცინვა... არადა სწორედ ტრუმენმა გასცა ბრძანება 1945-წელს ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვაზე. ტრუმენი გახლდათ ნატოს შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. მისი მოღვაწეობისას შეიქმნა აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი და მიღებული იქნა კანონი ნაციონალური უსაფრთხოების შესახებ, დაარსდა გაერო, დაიწყო ცივი ომი და გაჩაღდა ბრძოლა კომუნისტებთან. დაიწყო კორეის ომი. ევროპაში დანერგილი იქნა მარშალის გეგმა...

აღსანიშნავია ფულტონის ცნობილი სიტყვაც - „სწორედ ჩერჩილმა მისცა დასავლეთს განკარგულება დაეწყოთ „ცივი ომი“ აღსანიშნავია ყირიმის ომი, ბერლინის კონგრესი. ინგლისური დიპლომატიის ჩარევამ ბისკონფილდის მეთაურობით ხელი შეუშალა რუსეთს 1878 წელს შესულიყო სანუკვარ კონსტანტინოპოლში. დიზრაელი, იგივე ლორდ ბისკონფილდი მისი უდიდებულესობის კაბინეტის პირველი მინისტრი და ტორის ლიდერი იყო. მაგრამ ეს ბრიტანელი „კონსერვატორი“ არ გახდა უაზრო ემანსიპაციის ნაყოფი. მას არასოდეს ავიწყდებოდა, ვინ არის ის და რა საქმეს უნდა ემსახუროს. თავის წიგნში“კონინგბერი რომლიც სწორედ ბერლინის კონგრესის დროს იქმნებოდა, ის წერდა“ აი შედეგი ბრძოლისა, ჩვენს ებრაულ თავებს დაეცა თხუთმეტსაუკუნოვანი გაუგონარი დამცირების, თითქმის მონობის ზებუნებრივი ტვირთი მაგრამ მან როდი გაგვსრისა თავისი უნამუსო სიმძიმით, ო, არა! ჩვენ მხოლოდ დავცინეთ ადამიანის გამომგონებლობას, რომელიც ამაოდ ცდილობდა ჩვენს დაღუპვას იუდეველნი! იუდეველნი! ყველგან იუდეველნი! ყოფილა კი ოდესმე ევროპაში მცირედ შესამჩნევი მოძრაობა მაინც რომლეშიც არ ჩავრეულიყავით?“ დიახ, არ ყოფილა და ეს კარგად ნახეს რუსებმა 1917 წლის მოვლენებში... ინგლისი და მისი „შავი მზე ყოველთვის იზიდავდა ისეთ სპეციფიკურ პიროვნებებს, როგორებიც იყვნენ გერცენი ან ენგელსი ამჟამად მსოფლიო ტერორიზმის შტაბ-ბინები იქ არის დაფუძნებულნი, ბრიტანეთის დედაქალაქის მყუდრო და მშვიდ გარე უბნებში. პირველად მსოფლიოში ბევრი რამ სწორედ ბრიტანეთში მოხდა პირველად აქ მოკლეს კანონიერი მონარქი. იმ დროის მთავარმა რევოლუციონერმა ოლივერ კრომველმა კიდევ იმით გაითქვა სახელი, ბრიტანეთის კუნძულებს დაუბრუნა იქიდან გაყრილი ებრაელები. ამგვარ დამსახურებას ებრაელები არ ივიწყებენ. სწორედ „ქრისტიანულ ინგლისში“ უკვე რესტავრირებულ მონარქიაში პირველად გამოვიდნენ ძალები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მიმალულნი იყვნენ. ინგლისის დიდი ლიჟა დაფუძნდა 1717 წელს ამ მოვლენამდე ცოტა ხნით ადრე საბოლოოდ ჩაიშალა ინგლისის ტახტზე იაკობის აღსაყრდების მცდელობა, რომელიც სტიუარტთა კათოლიკური დინასტიის წარმომადგენელი იყო მასონებმა შვებით ამოისუნთქეს. მათ კარგად ესმოდათ, რომ რომი არ გაამართლებდა ლოჟებში გამეფებულ სულისკვეთებას. ძალიან მალე ლოჟები გახდნენ პირველი კუნძულები, სადაც შესაძლოა დროებით მაგრამ მაინც იშლებოდა სოციალური საზღვრები, უბრალო კაცი ლორდის გვერდით იჯდა. თუმცა იგივე სივრცე, პირველი კუნძული გახდა ებრაელთა ემანსიპაციისათვის. რეფორმაციის პირველი იდეებიც სწორედ ინგლისში გაჩნდა მე-14 საუკუნეში კათოლიკე მღვდელმა ინგლისს რომისგან დამოუკიდებლობისკენ მოუწოდა. ამხილა სასულიერო დასისა და ბერ-მონაზონთა ნაკლოვანებები და გადათარგმნა ბიბლია ინგლისურ ენაზე. ვიკლეფის ქადაგებების ზეგავლენით დაიწყო ტაილერის აჯანყება, რომლის დროსაც მოკლეს არქიეპისკოპოსი... ასე რომ გერმანული რეფორმაცია ნაწილობრივ ინგლისური საჩუქარია. პროტესტანტიზმმა გამოაცხადა, რომ მდიდრები-ღმერთის მიერ არიან კურთხეულნი, ხოლო ღარიბნი, პირიქით ცუდი ქრისტიანები თანაც იმდენაც ცუდნი, რომ ქვეყანაზე არც კი უნდა ცხოვრობდნენ. ეს ლოგიკა კანონზომიერად დაედო იუდეო-მასონურ დაპირისპირებას. ამგვარმა „შეუღლებამ“ შვა მალთუსი. ასე გაჩნდა კიდევ ერთ სახელგანთქმული ინგლისელი მალთუსის ნაშრომში“ მოსახლეობის კანონის შესახებ ვკითხულობთ“ სამართლიანობა და პატივი მოითხოვს ჩვენგან ფორმალურად უარვყოთ ღარიბთა უფლებები დახმარების მიღებაზე. ამისთვის მე გთავაზობთ მიიღოთ დადგენილება იმის შესახებ რათა ქორწინების შედეგად დაბადებულ არცერთ ბავშვს, რომელიც კანონის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ გაჩნდება და არცერთ უკანონოდ დაბადებულ ბავშს, რომელიც იშვება მითითებული თარიღდან ორი წლის შემდეგ უფლება არა აქვს მიიღოს დახმარება სამრევლოებიდან... პარალელს თუ გავავლებთ, ყრმა ნაკლებად ღირებულია საზოგადოებისთვის რადგან მის ადგილს დაუყონებლივ იკავებენ სხვები.“ ესეც თქვენი ძველი და კეთილი ინგლისი. დიზრაელი, მაგალითად აღიარებდა მხოლოდ ორ უზენაეს რასას ებრაელებსა და ინგლისელებს. როგორც ჩანს ანგლო-საქსონური პროტესტანტები საკუთარ თავს ისრაელის დაკარგულ ტომებს განაკუთვნებენ თავიანთ „რჩეულობით“ გაქედმაღლებულნი ისე ანადგურებდნენ ამერიკელ ინდიელებს, თითქოს ისინი ძველ აღთქმისეული ქანაანელები ყოფილიყვნენ. ძნელია იმის დაჯერება, რომ „ვენეციური შავი არისტოკრატიის“ საქმიანობა არ არის ეშმაკის მზაკვარი გეგმა, უკიდურესად შემავიწროებელია ლონდონიდან გამოფრქვეული შავი ნათელი, საიდან გაჩნდა შავი არისტოკრატია დიდ ბრიტანეთში, მსოფლიოს დაპყრობის თავისი აგრესიული ზრახვებით? ცნობილი ამერიკელი რევიზიონისტის და მოაზროვნის ლინდონ ლარუშის შილერის ინსტიტუტში შეეცადნენ აღედგინათ გლობალური ისტორული პროცესი ფალსიფიკაციების გარეშე და აი მათი კვლევის შედეგიც- „დიდი ბრიტანეთი“, კუნძულზე არსებული სავაჭრო-ფინანსური, საზღვაო და საწარმოო ინპერია გამოდის ცნობილ ქალაქ-სახელმწიფო ვენეციის მემკვიდრედ, რომლის ძლიერებაც ასევე ფინანსებსა და უძილიერეს ფლოტზე იყო დამყარებული. ჩრდილოეთ იტალიის ეს მარგალიტი, ჭანჭრობსა და ლაგუნაზე აშენებული ვენეცია თითქმის კუნძულივით იყო. ადრე, ძალზედ ადრე იწყებენ მომგებიან ვაჭრობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რისთვისაც იყენებენ თავიანთ ფლოტს და სავაჭრო პუნქტ-ფაქტორიებს ხმელთაშუა ზღვაზე. რომელიც ძველი სამყაროს ყველაზე მთავარი საზღვაო არეალი იყო.



ბენჯამენ დიზრაილი

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

(გაგრძელება იქნება)

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

ძველ აღთქმაში დანიელ წინასწარმეტყველს ვაწყდებით, რომელიც ქალდეველია. ნაბუქოდონოსორის დროს ძალიან საინტერესო რამ ხდება — კედელზე გამოისახება წარწერა, მარჯვენა მტევანი წერს და მერე ქრება. ეს საოცარი ამბავია. მეფე პანიკაში ჩავარდა. იქ იყვნენ ებრაელებიც, ასურელებიც, მაგრამ წარწერა ვერავინ წაიკითხა გარდა ქალდეველისა. იქ ეწერა, შენი მეფობა მალე დამთავრდებაო. მართლაც, იმავე ღამეს მეფე ქალდეველებმა მოკლეს...

უფრო წინ თუ გადავინაცვლებთ — ნაბუქოდონოსორი თავის ხალხს ეუბნება, ქალდეველთა სწავლებანი, მეცნიერებანი, ენა უნდა შევისწავლოთ, ეს სხვანაირი ხალხიაო. აქვე ვიტყვი — სხვათაშორის, იესოს დაბადება მოგვებმა, ოღონდ ქალდეველმა მოგვებმა იწინასწარმეტყველეს. დანიელ წინასწარმეტყველი მე-3 თავში ამბობს: „მაშინ მაწევარმა ომახიანად დაიძახა: ხალხო, ტომნო და ენანო, თქვენ კერპთაყვანისმცემლობის პატივისცემა გებრძანათ. ამ დროს იყო, რომ მოდგა ზოგიერთი ქალდეველი და იუდეველებს დაუწყეს ბრალის დადება“. გამოდის, რომ ქალდეველი და იუდეველი სხვადასხვაა.

თავი II — ქალდეველებმა მეფეს არამეულად უთხრეს.

თავი XIII — სუსანას სასამართლოზე ღმერთმა დანიელის სული გააღვიძა რომელიც ქალდეურ ენაზე იყვირებს სიტყვას, რომელსაც ვერავინ გაიგებს.

კიდევ ერთი საინტერესო რამ მინდა გითხრათ — დანიელ წინასწარმეტყველს გამოეცხადა ღმერთი და უთხრა, მეორედ მოსვლისას შენი ხალხი გადარჩებაო. იოანე ზოსიმე კი გვეუბნება, რომ მხოლოდ ამ ენით გაცხადდება მეორედ მოსვლა, მოსვლა ძე ღვთისაო. გვატყუებს ვითომ იოანე ზოსიმე? აქვე კიდევ ერთი ნიშანდობლივი რამ იკვეთება — ეს ამბავი სინას მთაზე მოხდა, სწორედ იქ, სადაც მოსეს უფლის მიერ 10 მცნება მიეცა. დარწმუნებული ვარ, იოანე ზოსიმესთვის იმის თქმა, რომ ქართულ ენაზე გამოცხადდება, მეორედ მოსვლა— ესეც უცილობლად უფლის ნათქვამია და არა ზოსიმეს მოგონილი. აქვე ერთ რამესაც გეტყვით — სინას მთიდან საგალობელის ჩამოტანით ქართველმა ერმა და მისმა მისიამ ერთმანეთი იპოვეს. ქრისტიანობის მსოფლიო ბედისწერაში ქართულ ენას ერის მისია ჰქვია.

ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს დამახასიათებელ შემდეგ განსაზღვრებას ვხვდებით — „ახალი ნინო“, — ამბობს იოანე ზოსიმე, რაც უშვებს „ძველი ნინოს“ არსებობას. რას ნიშნავს ეს?

აკადემიურ მეცნიერებაში სიტყვა „ნინო-ს“ ფუძე „ნინ“ ფონეტიკური სახესხვაობაა „ნენ“ და „ნანის“. ქრისტეს მოსვლამდე, ბერძნები კოლხეთში შემოდიან და საოცარ ძეგლს ხედავენ — ქალი ზის, ფერხთით ლომებია გართხმული, ხელთ კი კომბალი უკავია. ბერძნები ზევსის დედას მიამსგავსებენ. ეს ღვთისმშობელი იყო. რა თქმა უნდა, მარიამი არ ჰყავდათ მხედველობაში, რადგან ამ დროს ჯერ არ არსებობდა— სიტყვა „ღვთისმშობელი“ სახელ „მარიამამდე“ ადრინდელია. Fფესტოს დისკოზე ნენ-ნანას საგალობელი წერია, ანუ „ახალი ნინო“ „ძველი ნინოს“ მოსახელეა...

საინტერესო ამბებს ვაწყდებით „გილგამეშიანშიც“. ის 1500 წლით ადრეა დაწერილი ვიდრე „ძველი აღთქმა“. საოცარ ამბებს ვაწყდებით — დედა ღმერთს, ღვთისმშობელს ერქვა (ნინ)-ხასარგ; მეორეს — (ნინ)-ტუმ, მესამეს — ინ-(ნანა). ეს დამთხვევებია?

ღვთისმშობლის მიძინება დღევანდელი თურქეთის, ყოფილი კოლხეთის ტერიტორიაზე, გნებავთ, შემდგომ ტრაბზონის იმპერიის, იზმირიდან დაახლოებით ერთი საათის სავალზე მოხდა — ბევრმა არ იცის, რომ ეს ისრაელში არ მომხდარა. ესეც ერთგვარი მინიშნებაა. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ ეს ტერიტორია წინარე ქართულია, მერე მოდიან ძველბერძნები, ინდო-ევროპელები. ჩვენ, ქართველები, იაფეტური მოდგმის ხალხი ვართ...

ებრაელი ღმერთი, იაჰვე, თავის ხალხს ქალდეურად ლოცვისკენ მოუწოდებდა... ახლა ყველაზე მთავარს გეტყვით, საიდანაც ძალიან დიდ ამბავს ვაწყდებით — ეს რომ წავიკითხე, გავოგნდი! „თალმუდში“ წერია, თუ ებრაელს სურს რამე სთხოვოს ღმერთს ანგელოზებისგან საიდუმლოდ, ქალდეურად უნდა ილოცოსო. ამას ამბობს იაჰვე, ღმერთი ებრაელთა, რადგან მხოლოდ ეს ენა იცის მან. ეს უპირატესობაა, რომელიც ქალდეველებსა და ქალდეურ ენას ენიჭება. „თალმუდში“, ბოროტის შექმნა და გაყოფა სულად, ფორმად და სხეულად, თავიდან ბოლომდე ძველი ქალდეველებისგანაა ნასესხები, რა ვქნათ, ეს არ ვთქვათ?“

ვისაც მიზეზთა გამო რაიმეს დაჯერება არ სურს, მისი ნებაა...

საინტერესოა რონ უაიტის მიერ ჩატარებული სისხლის ანალიზის შედეგი და მისივე მოკლე განმარტება, რომელიც აბსულუტურად ხელმისაწვდომია ინტერნეტმომხმარებლისთვის ძიებით „ქრისტეს სისხლში მხოლოდ დედის ქრომოსომებია“.

რონ უაიტი (ტექსტის თარგმანი): — „მშრალი სისხლი მკვდარი სისხლია, ეს ყველამ იცის, ხომ ასეა? შეიძლება, ჩავატაროთ ფარაონთა და მათი მუმიების სისხლის ანალიზები, შეიძლება სხვადასხვა რამის გაკეთება, მაგრამ შეუძლებელია ქრომოსომებზე ანალიზის ჩატარება იმ მეთოდებით, რაც ჩემთვის ცნობილია.

რასაკვირველია, ვერ დავიჩემებ, რომ ყველაფერი ვიცი — სამყარო ხომ ვითარდება, მაგრამ მე ვიცი, რომ მკვდარ სისხლზე ქრომოსომული ანალიზის ჩატარება შეუძლებელია. შეიძლება დნმ-ის აღება, მაგრამ არა ქრომოსომების რაოდენობის დაზუსტება — ეს მხოლოდ ცოცხალი, სისხლის თეთრ უჯრედებზე კეთდება. ასე რომ, ამ ანალიზის ჩასატარებლად მე მივიტანე ეს სისხლი ისრაელის ერთ-ერთ ლაბორატორიაში, რადგან მანამდე გავიკითხე და მითხრეს, რომ სწორედ ეს ლაბორატორია იყო კარგი და სანდო.

მე ვუთხარი მათ: „გთხოვთ ჩაატარეთ ამ სისხლის ანალიზი და მითხარით მასზე ყველაფერი, რის თქმასაც შეძლებთ.“ მათ მიპასუხეს: „კარგით, ჩვენ მას აღვადგენთ, მარილის წყალში ჩავდებთ 72 საათის განმავლობაში, სხეულის ტემპერატურით, ცოტა ხანს მოვურევთ.“ ეს ჩვეულებრივი პროცედურაა. მე მათ ვთხოვე, დავსწრებოდი ანალიზის ჩატარების პროცესს, რაზეც დამთანხმდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მათ მითხრეს: „ეს ადამიანის სისხლია. ყველანაირი ანალიზი ჩავატარეთ და დავადგინეთ.“ მე ვთხოვე, აეღოთ სისხლის თეთრი უჯრედები, ემყოფებინათ ისინი გაზრდისთვის ხელსაყრელ გარემოში სხეულის ტემპერატურის მიხედვით 48 საათის განმავლობაში. მათ მე მითხრეს, რომ ამას აზრი არ ჰქონდა, რადგან სისხლი მკვდარი იყო. მე მათ ვთხოვე, გაეკეთებინათ ეს ჩემთვის და დამთანხმდნენ. კვლავ ვთხოვე დასწრება და დავრჩი იქ იმ დროს, როცა ამ სისხლის ხელახალი შესწავლა დაიწყეს. ვნახე, როგორ ათვალიერებდნენ მიკროსკოპის ქვეშ. უცებ, ერთმა თანამშრომელმა მეორეს დაუძახა, მერე უფროსს დაუძახეს და რამდენიმე წუთის განმავლობაში ივრითზე საუბრობდნენ, მერე კი მე შემომხედეს და მითხრეს: „მისტერ უაიტ, ამ სისხლში მხოლოდ 24 ქრომოსომაა!“

ყოველ ჩვენგანს აქვს 46 ქრომოსომა, 23 დედისგან და 23 მამისგან. მათგან 22 აუტოსომა დედისგან და 22 — მამისგან, პლუს X ქრომოსომა დედისგან და Y ქრომოსომა მამისგან. ამ სისხლში კი იყო 23 ქრომოსომა დედისგან და მხოლოდ ერთი Y ქრომოსომა. ბავშვი ვერ შეძლებს განვითარებას თუ არ ექნება აუტოსომები დედისგან. Mმისი ყველა ფიზიკური მახასიათებელი მხოლოდ დედის მხრიდან განისაზღვრებოდა,



ქრისტეს სისხლი

დედის აუტოსომებით, მამრობითი სქესი კი ერთი Y ქრომოსომით განისაზღვრებოდა, რომელიც არ იყო ადამიანისგან მიღებული.

შემდეგ მათ თქვეს: „ეს სისხლი ცოცხალია“ და მკითხეს: „ვისია ეს სისხლი?“

მე კი ვუპასუხე: „ეს თქვენი მესიის სისხლია...“ მე დარწმუნებული ვარ, მათი ცხოვრება შეიცვალა...

## აღსდგა კი იესო ქრისტე მკვდრეთით?

ერთი შეხედვით, თითქოს, ერთგვარად გვერდზე ვუხვევთ მთავარი სათქმელიდან, მაგრამ გონიერი მკითხველი ნამდვილად არ იფიქრებს ასე, რადგან ყველა საკითხი ერთმანეთზე მძივივითაა აცმული და რაც მეტად ჩავეძიებით, იქნებ მეტი რამ გავიგოთ?

წარმოგიდგენთ აკადემიკოს ალექსანდრე ივანეს ძე ბელეცკის (1884-1961) წერილს როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წერილს. იგი ხელმძღვანელობდა უძველესი ენებისა და კულტურის განყოფილებას უკრაინის მეცნიერებათა აკადემიაში და გახლავთ ავტორი შესანიშნავი წერილისა „ზოგიერთი შენიშვნა უკანასკნელი წლების ათეისტური ლიტერატურის გამო“, რომელსაც აქვე გთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით (თარგმანი ვასილ ბურკაძისა).

„უკრაინის კომპარტიის ცკ-ის დავალებით მე განვიხილე ანტირელიგიური პროპაგანდის შემცველი წიგნები, ბროშურები და წერილები. მთლიანობაში: 18 წიგნი, 41 ბოშურა და 62 საგაზეთო წერილი. ამასთანავე, მე დაჟინებით მომთხოვეს მთელის სიცხადითა და გადამჭრელობით გამომეთქვა ჩემი მსჯავრი ჩვენი ანტირელიგიური ლიტერატურის შესახებ. უნდა ვაღიარო, რომ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ანტირელიგიური შრომის ყურადღებით გაცნობამ მე შემდეგ დასკვნებამდე მიმიყვანა: 1. ეს ლიტერატურა, პირველ ყოვლისა, გვაოცებს თავისი დაუჯერებელი წარმოჩენილობით. აქ, შეიძლება, ნახო ბევრი ისეთი დებულება, რომელიც 100-150 წლის წინათ გამოითქვა მეცნიერებაში და მას შემდეგ უკვე დიდი ხანია უარყოფილია 2. ბევრ შემთხვევაში საქმე გაცილებით უარესადაა, რადგან ვხვდებით ფაქტების უამრავ ძალზე უხეშ დამახინჯებას და სრულიად აშკარა გამონაგონს 3. ბევრი ანტირელიგიური ნაწარმოების ავტორი თავზარდამცემ უმეცრებას ამჟღავნებს, ხშირად, ელემენტარულ საკითხებშიც კი! ეს, კერძოდ, იმით აიხსნება, რომ ანტირელიგიურ თემაზე მწერალ აურაცხელ ადამიანს შორის ერთიც კი არ არის არათუ გამოჩენილი, უბრალოდ, რიგითი მეცნიერიც კი!

როგორც ვთქვი, მე მოვიხილე 120-ზე მეტი ათეისტური პროპაგანდის შემცველი წიგნი და წერილი. მიუხედავად ლიტერატურის ასეთი სიმრავლისა, მის მიმართ წარმოშობილი შენიშვნები შეიძლება გაუჭორვებლად დავაჯგუფოთ რამდენიმე პუნქტამდე, რადგან ამ ბროშურებისა და წერილების უდიდესი უმრავლესობა კეთილსინდისიერად იმეორებს ერთმანეთს...

თავს ნებას მივცემ, ჩემი ძირითადი შენიშვნები შემდეგი სახით დავაჯგუფო:

## აღსდგა თუ არა მკვდრეთით იესო ქრისტე?

ეს მთელი რელიგიის, მთელი ფილოსოფიის, ყველა იმ მეცნიერების ძირითადი საკითხია, რომლებიც კაცობრივ მსოფლმხედველობებს შეეხება, რამეთუ მკვდრეთით აღდგომა მხოლოდ ღმერთს შეეძლო. მაშასადამე, საკითხი მკვდრეთით აღდგომის შესახებ, არის საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა ღმერთი. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ ანტირელიგიური ლიტერატურის თითქმის ყველა ნაწარმოები ეფუძნება საკითხს მკვდრეთით აღდგომის შესახებ და ყველა ისინი, ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს სცემენ. ალბათ, ვერცკი წარმოიდგენდნენ, რომ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენის შემდეგ (მათზე ქვემოთ გვექნება საუბარი), ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას ფრიდრიხ ენგელსიც კი აღიარებდა. თავისი თხზულების ხელახალი გამოცემის წინასიტყვაობაში იგი წერს: „უახლესი კაპადოკიური აღმოჩენები გვაიძულებენ შევიცვალოთ შეხედულება მსოფლიო ისტორიის ზოგიერთ მცირერიცხოვან, მაგრამ უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე და იმან, რასაც ადრე მხოლოდ მითოლოგების ყურადღების ღირსად გვეჩვენებოდა, ამიერიდან ისტორიკოსების ყურადღება უნდა მიიპყროს. ახალი დოკუმენტები, რომლებიც იმორჩილებენ სკეპტიკოსებს თავიანთი დამაჯერებლობით, ღაღადებენ ისტორიის სასწაულთაგან უდიდესი სასწაულის სასარგებლოდ — სიცოცხლედ მობრუნების შესახებ იმისა, ვისაც ის გოლგოთაზე წაართვეს.“

ენგელსის ეს სიტყვები უცნობი რჩებოდა ჩვენში იმიტომ, რომ ისინი არასოდეს არ უთარგმნიათ რუსულ ენაზე მარქსისა და ენგელსის გამოცემებში. კაპადოკიურ აღმოჩენებს, რომლებმაც თვით ენგელსი დაარწმუნეს, მოჰყვა მთელი რიგი სხვა აღმოჩენებისა, ამასთან, მათზე არანაკლებ, არამედ, უფრო მეტად მნიშვნელოვანთა — ამათზეც ქვემოთ ვიტყვი.

(გაგრძელება იქნება)



ალექსანდრე ბელეცკი

# ღვაწლმოსილი და ვალმოხდილი ცოტნეიდელი

## რუსლან რუსიას ხსოვნას

როგორ უმოწყალოდ მიგვაქანებს აღსასრულისაკენ დრო მუხანათურად გამმეტებელი.

ჩემი მოუშუშებელი სულის ტკივილს, ხსოვნას გულისა, სულმნათი, შეუცვლელი მეგობრის, ძმადნაფიცობის ფრიადოსნის, გულმხურვალე ცოტნეიდელის რუსლან რუსიას უკვდავ ხსოვნას ვუძღვნი ამ წერილს.

ერსაც, ქვეყანასაც, მართლმადიდებლურ მრწამსსაც და თვით საზოგადოებასაც დაცემის ჟამს მხსნელად და მაგალითის მიმბაძველობით ორიენტირად ღმერთის მადლით მოევლინებიან ხოლმე სწორედ დამოუკიდებელი, პრინციპული, ინტელექტით დამშვენებული პატრიოტი პიროვნებები – მოღვაწე მამულიშვილები, გულწრფელი და გულმხურვალე – ცოტნეიდელები: „აღმსარებლები მცნებათა უფლისა და დამდებელნი სულისა თავისისა, საქართველოსა და მოყვასთათვის“, სრულიად საქართველოს ზნეობრივ-ეროვნული გმირის, წმინდანად კანონზომიერებულის, ერისთავთ-ერისთავის



ცოტნე დადიანის მიმდევრების სახით.

ასეთ ლიდერთა რიცხვს დამსახურებულად მიეკუთვნებოდა სულმნათი რუსლან რუსია მთელი თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით, მისი დამმრაზმველი პიროვნული ფენომენით. იგი გახლდათ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორის პირველი მოადგილე, რედაქტორი. ჟურნალისტიკის დარგში შეტანილი პირადი, განსაკუთრებული წვლილისათვის დაჯილდოებული იყო „ოქროს ფრთით“. 1996 წლის ივნისიდან დღემდე ერთხმად იყო არჩეული ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე პრეზიდენტად, პრეზიდიუმის წევრად, აკადემიკოსად. წარმატებითა და მისთვის ჩვეული თავდადებით ხელმძღვანელობდა ფაზისის აკადემიის თბილისის სათაო ორგანიზაციას.

ჩვენი პირველი შეხვედრა ქ. ხობში 1978 წელს ზაფხულში შედგა, სადაც სრულიად ახალგაზრდა ვთავკაცობდი რაიონს. რედაქტორის დავალებით საგაზეთო პუბლიკაციის თემა გამაცნო: „ორი რაიონი ერთი ცის ქვეშ და მიღწეული შედეგები აბაშის რაიონსა და მეზობლად მდებარე ხობში.“

მახსოვს მისი სიხარულით, მზრუნველობით, გულშემატკივრობითა და სიკეთით გაბრწყინებული თვალები და სიამაყით რამდენჯერმე რომ გამიმეორა შეკითხვა: მართალია, რომ ხობელებმა გადაწყვიტეთ ხუთწლიანი სახელმწიფო გეგმა ყველა პარამეტრებით ოთხ წელიწადში შეასრულოთ და მეხუთე წელი ზეგეგმიური ვალდებულებების შესრულებას მოახმაროთ? როდესაც ჩემგან ასევე რამდენჯერმე მიიღო დადებითი პასუხი გადამეხვია და ალალად მითხრა – თქვენ სიტყვა არ გატეხოთ და მიღწევებზე საგნობრივი პროპაგანდა ჩემზე იყოსო. ორთავემ მიცემული სიტყვა პირნათლად შევასრულეთ... ნათელში ამყოფოს ღმერთმა აწ განსვენებულის ღვაწლმოსილი და ვალმოხდილი მამულიშვილის გულმხურვალე ცოტნეიდელის უკვდავი სული. ზეციურ სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ...

მიუხედავად ჩვენი დიდი უანგარო მეგობრობისა, სადაც მიმუშავია არ მახსოვს ხობზე, ფოთზე, აჭარაზე მიძღვნილ პუბლიკაციებში გულშემატკივრული ტაქტით არ ჩაერთო კრიტიკული შენიშვნები, ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებზე, მათი შესრულებისა და კეთილი გულშემოტკივრობით ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების გზებით... არადა, ეს ყველაფერი რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტის შენიშვნები გახლდათ. ბიჭი იყავი და ყური არ მიგეგდო მათთვის, რადგან, შეუსრულებლობის შემთხვევაში, ერთი ნაბიჯიღა გაშორებდა საქართველოს კომპარტიის ცეკა-ს სამდივნოზე, ან ბიუროზე საკითხვის განხილვისაგან.

„ვაჰ, დრონი, დრონი...“

მართალია, აბაშის ცნობილმა ექსპერიმენტმა საკავშირო აღიარება მოიპოვა, მაგრამ ხობში პირადად ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩაყვანილი, რეკომენდებული და ერთხმად არჩეული გახლდით. რაზედაც ამ დიდი ნდობის გამართლებით უნდა მეპასუხა და რასაც სულმნათი ბატონი რუსლანი დღენიადაგ შემახსენებდა ხოლმე თავისი საქვეყნო პუბლიკაციებით... მართლაც და... „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდა, გული მისცეს გულისათვის – სიყვარული გზად და ხიდად“. ამინ! ბრძანებდა იგი და თავისი ცხოვრებით, შემოქმედებითა და უანგარო მოღვაწეობით. მუდამ მიდასტურებდა...

მძიმე ავადმყოფობის ჟამს ბატონი რუსლანი წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში მისი ყოვლად მაღალუსამღვდელოესობის მეუფე დანიელის რეკომენდაციითა და ფაზისის აკადემიის თხოვნით, მიიღო და გულითადად დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აღმშენებელმა, ფაზისის აკადემიის საპატიო პრეზიდენტმა, რომელმაც როგორც შვილობილს აღუთქვა მას, რომ დღენიადაგ ილოცებდა მისთვის და მისი საფიცარი ოჯახის მომავალ ბედნიერებაზე, შვილების დაოჯახებაზე, შვილიშვილების შეძენაზე, მათი ერისშვილებად აღზრდა – ჩამოყალიბებაზე...

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უაღრესად დადებითი თვისებების მატარებელია ქართული ტრადიციებით, ჰუმანიზმისა და ქრისტიანული ფასეულობებით განმსჭვალული რუსლან რუსიას ბრწყინვალე ოჯახი: მეუღლე და შვილები... ღვთის წყალობით, მალე აუსრულებენ საფიცარ და უსაყვარლეს მამას უკანასკნელ თხოვნას, დაოჯახების, შვილიშვილებით გვარის გამრავლების თაობაზე...

ბატონი რუსლანი ძმადნაფიცობის ჭეშმარიტი ფრიადოსანი – ცოტნეიდელი, ხშირად მიზიარებდა გულისნადებს, რადგან მას სწამდა, რომ სინდისი, ზნეობა, პატრიოტიზმი და ქრისტიანული მრწამსი - ეს ღვთის ნებაა და ხმაა, ასეთი ადამიანების სულსა და გულში აღმოცენებული და მათ ჯიშსა და გენეტიკაში ჩაქარგულ-ჩაკირული. ასეთმა ერისკაცებმა კარგად შეითვისეს, რომ უსამართლობასთან შეგუება, მით უფრო, მშვიდობიანი თანაარსებობა, თავად არის ბოროტებასთან შეგუება, რაც, ბუნებრივია, დიდი ცოდვის შემცველია. ამიტომაცაა, რომ რუსლანისნაირი ღირსეული ადამიანები დროში მუდამ ებრძვიან ბოროტებას, რადგან სხვაგვარად მისი ჭეშმარიტი ხელშემწყობები გახდებიან.

საჭირო დროს საჭირო კაცის საჭირო რჩევა, შველას მაძიებელი და მომლოდინე მოყვასისათვის ვერ აიწონება ვერც ოქროთი და ვერც ფულადი ღირებულებით შეფასდება... სწორედ ასეთი საჭირო კაცი გახლდათ ბატონი რუსლანი.

ბატონმა რუსლანმა თავის ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში პირნათლად გაითავისა, რომ ჯიში, ადამიანის გენეტიკური კოდი, წინასწარ განსაზღვრულია პიროვნებისათვის. მართალაცდა, განა მარტო წრთვნა რას შველის, თუ ბუნებამაც არ უშველა. პიროვნებებად, ლიდერებად, ერისკაცებად არ ხდებიან, ისინი ღვთის ნებითა და წყალობით იბადებიან... მთავარია შეიმეცნო, რომ განმსაზღვრელი აქ ხარისხი, შინაარსია და არა ფორმა. ჭეშმარიტება მუდამ იმით არის საინტერესო, რომ იგი მუდამ აქვეა, ჩვენს გვერდით. გადამწყვეტია, ჩვენ გვქონდეს სურვილი მისი მსახურებისა. უიმედობა, ეს ცხოვრების დასასრულს ნიშნავს, იმედი კი, ეს სიცოცხლეა...

ასეთია ჩვენი გულწრფელი წუხილით გაჯერებული ფიქრი ღვაწლმოსილ და ვალმოხდილ ადამიანზე - სულმნათ რუსლან რუსიაზე, რაც დაფუძნებულია მის ბრწყინვალე ბიოგრაფიაზე და დიდ პროფესიონალიზმზე.

მშვიდობით, დაუვიწყარო სულიერო ძმაო და თანამოაზრევ!

**ნუგზარ ნადარაია**
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი,
ეკონომიკის დოქტორი,
სიყრმის უღალატო მეგობარი

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი



**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**რა შემთხვევებში აბრუნებს საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეს სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახლველად?**

– თქვენს შეკითვას პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლი, რომლის სინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 412. . სააპელაციო სასამართლოში საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად

საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

მუხლი 85. არასრულწლოვნის მუშაობის შესაძლებლობა

1. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების უფლება.

2. არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული მუშაობს სწავლისაგან თავისუფალ დროს. ამასთანავე, სწავლისა და მუშაობის დრო არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს.

3. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას. დასაშვებია, არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ იმუშაოს.

4. არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ ისეთ სამუშაოს, რომელიც ხელს შეუწყობს გათავისუფლების შემდეგ მის პროფესიულ მომზადებას და დასაქმებას, აგრეთვე ხელს არ შეუშლის მის მიერ განათლების მიღებას.

5. დაუშვებელია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმება.

* * *

– **როგორ ისჯება განზრახ მკვლელობა/ მხედველობაში მაქვს 108-ე მუხლი/?**

– მუხლი 108. განზრახ მკვლელობა განზრახ მკვლელობა, -ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.

* * *

– **ითვალისწინებს თუ არა საჯარო სამსახურის კანონმდებლობა საჯარო სამსახურში პირთა მიღებას კონკურსის გარეშე?**

– დიახ, ასეთს ითვალისწინებს საჯარო სამსახურის კანონმდებლობა.

მუხლი 30. თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნა

თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ:

ა) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი ან ასარჩევი მოხელეები;

ა1) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი

ორგანოების მიერ ასარჩევი მოხელეები;

ბ) მინისტრის მოადგილეები, თანაშემწეები და მრჩევლები;

გ) თანამდებობაზე დროებით შემცვლელები;

დ) დროებით მოვალეობის შემსრულებლები იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც

კონკურსის წესით უნდა შეივსოს;

ე) სამსახურებრივი დაწინაურების შემთხვევაში.


## ტაქსი გამოძახებით

0322 300 308; 0322 450 450; 558 300 088

დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური,
კომფორტული მომსახურება 24 საათის განმავლობაში

# იაპონიის მცხოვრებლები თანახმა არიან, რომ მათი მმართველი ქალი გახდეს

იაპონიაში სურთ კანონის გაუქმება, რომელიც ქალებს საიმპერატორო ტახტის დაკავებას უკრძალავს.

გასული წლის აგვისტოში 83 წლის იმპერატორმა აკიჰიტომ განაცხადა, რომ ტახტიდან გადადგომას აპირებს.

უკანასკნელად იაპონიას ქალი 250 წლის წინათ მართავდა. როგორც ჩანს, იაპონელებმა გადაწყვიტეს, რომ სუსტი სქესის სასარგებლოდ შეცვალონ კანონი.



იმპერატორმა აკიჰიტომ განაცხადა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო აპირებს ტახტის დატოვებას. კანონში არაფერია ნათქვამი გადაგომასა და ძალაუფლების გადაცემის შესახებ, მაგრამ მმართველმა პარტიამ განაცხადა, რომ მხცოვანი იმპერატორის სურვილს ითვალისწინებს და კანონში ცვლილების შეტანას აპირებს. იაპონელთა შეხედულებები ბოლო ათწლეულების მანძილზე კარდინალურად შეიცვალა და გამოკითხულთა უმეტესობა მხარს უჭერს იმპერატორის ტახტზე ქალის ასვლას.

თუ აკიჰიტო გადადგება, მის ადგილს კრონპრინცი ნარუჰიტო დაიკავებს, თუ კანონი შეიცვლება, მაშინ იმპერატორი ნარუჰიტოს 15 წლის ქალიშვილი აიკო გახდება.

იაპონია ერთ-ერთია იმ მონარქიათა შორის, სადაც ქალებს გვირგვინის ტარების უფლება არა აქვთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იაპონიის 2700-წლოვან ისტორიაში ქვეყანას რვაჯერ მართავდა ქალი-იმპერატორი.


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა




# გადავარჩინოთ ქართული ცირკი

***გვესაუბრება საქართველოს ცირკის მოღვაწეთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მოქმედი თავმჯდომარე გოჩა ხარატიშვილი.***

— ქართული ცირკი დღეს გერის მდგომარეობაშია და, შეიძლება პირდაპირ ვთქვა, სულს ღაფავს კი არა, საერთოდ არ არსებობს. კულტურის სამინისტრო ამბობს, ჩვენ არ გვეკუთვნისო. არც სხვა რომელიმე სახელმწიფო უწყება ინტერესდება ქართული ცირკის ბედიღბალით. ამიტომაც ვართ ყოველგვარი დაფინანსების, ხელშეწყობის გარეშე. იძულებული გავხდით, აღნიშნული კავშირი ჩამოგვეყალიბებინა. სამწუხაროდ, ჩვენი დიდი მცდელობის მიუხედავად, დღემდე ვერ მოვახერხეთ, ჩვენი ხმა მივაწვდინოთ მაღალჩინოსნებს, რათა ქართული ცირკი შეიყვანონ სახელმწიფო დაფინანსების ნუსხაში. თუ რომელიმე ჩინოვნიკს ვუკავშირდებით, ყურსაც არავინ გვიგდებს.

**— 90-იან წლებში, მახსოვს, იმართებოდა წარმოდგენები.**

— ქართული საცირკო დასის რღვევა 90-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო. იმ პერიოდში ჩვენი შეფობა მაშინდელმა საქართველოს კულტურის ფონდთან არსებულმა ხელოვნების ცენტრ „ავანგარდის“ ბათუმის ფილიალმა ითავა. თანამშრომლობა 5 წელი გაგრძელდა. ამის შემდეგ დასმა დაიწყო დაშლა. შემდეგ ბადრი პატარკაციშვილმა ცირკის შენობა შეიძინა. ბატონმა ბადრიმ კარგი საქვეყნო საქმე გააკეთა. ხელშეკრულებაში ეწერა, რომ 10 წლის განმავლობაში ცირკის შენობაში საცირკო წარმოდგენები უნდა გამართულიყო. მართალია, ახლაც იმართება, მაგრამ უცხოელი მსახიობების ხარჯზე.

შეიძლება ბევრმა დღეს არ იცის, რომ არსებული ცირკის შენობა 1939 წელს ლავრენტი ბერიას ინიციატივით აშენდა. იდეა რომან გამსახურდიამ შესთავაზა. კაცმა, რომელიც მთელი თავისი ოჯახით ემსახურებოდა ქართულ ცირკს. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში არსებობს ასეთი მცდარი აზრი — ცირკის შენობაში თუ წარმოდგენები იმართება, ქართული ცირკიც არსებობსო. სამწუხაროდ, წარმოდგენებში ქართველი მსახიობები არ მონაწილეობენ და აღარც ქართული წარმოდგენები იმართება. ჩვენი დასის მსახიობები სავალალო მდგომარეობაში არიან, შიმშილობის ზღვარზე იმყოფებიან. თავს ერთმანეთის დახმარებით ირჩენენ. ამის გარდა, არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვთ, რათა ქართველმა მსახიობებმა გამართონ რეპეტიციები, დახვეწონ თავიანთი ხელოვნება. აღარც სპეციალური სასწავლებელია, სადაც აღიზრდებოდა მომავალი თაობა.

**— ახლა რის იმედი გაქვთ, რას აპირებთ?**

— იმედი გვაქვს, რომ დღეს არსებული ვითარება, როდესაც არავის აინტერესებს, არსებობს თუ არა ქართული ცირკი, შეიცვლება. იქნებ, თქვენი გაზეთის გამოსვლის შემდეგ დაინტერესდეს ვინმე რომელიმე გულისხმიერი ჩინოვნიკი და დახმარების ხელი გამოგვიწოდოს. ვიდრე გვიან არ არის, გადავარჩინოთ ქართული ცირკი და 60-წლიან ისტორიას და ტრადიციებს წყალს ნუ გავატანთ.

**გია ბურდული**
551 71 27 07




ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com